პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 14 სექტემბერი, 1945 წ. № 182 (7397). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი. მოწინავე (1-ლი გვერდი).
საინფორმაციო ცნობა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. (1-ლი გვერდი).
კომუნიკე მოსკოვში საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მოლაპარაკების შესახებ (1-ლი გვერდი).
საბჭოთა ხალხის ანგარიში გერმანიისადმი. „პრავდის" 13 სექტემბრის მოწინავე (მე-2 გვერდი).
დ. ზავრიევი — იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ (მე-2 გვერდი).
ს. ავალიშვილი — როგორ გავატაროთ [illegible] (მე-3 და მე-4 გვერდი).
ნინო მშველიძე — სიხარულის რთველი (მე-3 გვერდი).
მეშახტეები ზრდიან ქვანახშირის ამოღებას (მე-3 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
ა. პრიკლონსკი — ტანჟერი (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი

საკოლმეურნეო წყობილების სრულმა და საბოლოო გამარჯვებამ ყველა პირობა შექმნა ჩვენში მოწინავე აგროტექნიკის დანერგვისა და მაღალი მოსავლისათვის.

სოციალისტური მიწათმოქმედების დიდი ძალა ერთხელ კიდევ ცხადი გახდა დიდი სამამულო ომის დღეებში — კოლმეურნე გლეხობა წარმატებით ამარაგებდა გმირ წითელ არმიას, ჩვენს ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით.

საბჭოთა ხალხი ზეიმობს ორ მთავარ აგრესიულ სახელმწიფოზე—გერმანიასა და იაპონიაზე გამარჯვებას. დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით სახელოვანმა წითელმა არმიამ, ჩვენმა ხალხმა ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს კაცობრიობის ისტორიაში. დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში მთელი საბჭოთა ხალხისა და მათ შორის კოლმეურნე გლეხობის წინაშე დასმულია ამოცანა — სწრაფად მოვუშუშოთ ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები, კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო-ეკონომიური ძლიერება.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აყვავება, ახლანდელზე გაცილებით მაღალი, მყარი მოსავლის მიღება, საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლება, დამზადებათა გეგმების შესრულება — აი რა არის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი საქმე.

ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სწორი თესლბრუნვის შემოღება და ათვისება. პარტია, მთავრობა, დიდი სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ სოფლად მოწინავე აგროტექნიკის დანერგვას. ჯერ კიდევ XVII პარტიულ ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში დიდმა სტალინმა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მორიგ ამოცანად სწორ თესლბრუნვათა შემოღება დასახა. ამ ამოცანის განსახორციელებლად გაწეულია დიდი მუშაობა, რამაც უზრუნველჰყო სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ 1945 წლის ივნისის დადგენილებაში „კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა შემოღებისა და ათვისების საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" მოგვცა გაშლილი პროგრამა, რომლის განხორციელება ჩვენს მიწათმოქმედებას უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს.

12-13 სექტემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. კოლმეურნეობებში თესლბრუნვის აღდგენისა და შემოღების შესახებ და 2) საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ამ საკითხების პლენუმზე დასმა მოწმობს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა სწორი თესლბრუნვის შემოღება და რა დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი პარტია მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებას.

უმნიშვნელოვანესი საქმეა ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვა ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ნათესბალახიანი თესლბრუნვა ნიადაგის სტრუქტურის აღდგენის საუკეთესო საშუალებაა და, მაშასადამე უხვი, მყარი მოსავლის მიღების საფუძველია, მეორეც, — ნათესბალახიანი თესლბრუნვა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

დიდი სამამულო ომის წინა წლებში თესლბრუნვის შემოსაღები სამუშაო დამთავრებული იყო საქართველოს 273 კოლმეურნეობაში, მაგრამ შემდეგ ეს მუშაობა შენელდა. მეტიც, მთელ რიგ კოლმეურნეობებში შემოღებული და ათვისებული თესლბრუნვა დარღვეული აღმოჩნდა. თესლბრუნვაში კულტურების განლაგებისას ბალახების თესვას ყურადღება არ ექცეოდა. მარცვლეული კულტურები უმთავრესად ითესებოდა ნაწვერალზე. სწორი თესლბრუნვის დარღვევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია საქართველოს სამიწათმოქმედო ორგანოებისა და კოლმეურნეობების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ბალახთა მეთესლეობის ორგანიზაციისა და კოლმეურნეობათა მოთხოვნილების საკუთარი თესლით უზრუნველყოფის დარგში.

იქ, სადაც თესლბრუნვა გაატარეს, მარცვლეულის ორჯერ მეტი მოსავალი მიიღეს, ვიდრე არა თესლბრუნვის მინდვრებში. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს თესლბრუნვის უდიდეს მნიშვნელობას. ეს მოწმობს, რომ სწორი თესლბრუნვის დანერგვა უდიდესი სახალხო საქმეა და მას ხელი უნდა მოჰკიდოს სოფლის ყველა მუშაკმა, მთელმა პარტიამ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიული ორგანიზაციებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების წინაშე ერთ-ერთ ძირითად მორიგ ამოცანად სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში დასახა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდება ნათესბალახიანი თესლბრუნვის შემოღებისა და მემინდვრეობის დარგში მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების საფუძველზე. აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში შემოღებულ იქნება 7-8-9-10-მინდვრიანი თესლბრუნვა, მრავალწლიანი ბალახების 2-3 მინდვრითა და სუფთა ანეულის ერთი მინდვრით. ამ ღონისძიების განსახორციელებლად საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს დიდი მუშაობა დასჭირდებათ. თესლბრუნვების ტიპების დადგენისა, შინასამეურნეო მიწათმოწყობისა და თესლბრუნვის მინდვრების დაყოფის დარგში ყველა სამუშაო უნდა დამთავრდეს 1950 წლის დამლევისათვის. მაშასადამე, ამ მუშაობას ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ.

თესლბრუნვის სამუშაოთა გატარება მოითხოვს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სისტემატურ ხელმძღვანელობას. აქ კამპანიურობა არ გამოდგება. კოლმეურნეობებში თესლბრუნვაზე გადასვლისას დაცული უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს ინტერესები. ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველვყოთ ისეთი თესლბრუნვის დანერგვა, რომელშიც ყურადღება ექნება მიქცეული სახელმწიფო დავალებათა შესრულებას, მოსავლიანობის შემდგომ ზრდას, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ამაღლებას, მევენახეობის, მებაღეობის, მებოსტნეობისა და სხვა დარგების განვითარებას, ყველა საკოლმეურნეო მიწის სრულად და რაციონალურად გამოყენებას, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებას.

საპატიო როლი აკისრიათ ჩვენს აგრონომებსა და მიწათმომწყობებს. მათს ოპერატიულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული თესლბრუნვებში წინამორბედი კულტურების გამოყენება და კულტურათა სწორი განლაგება. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ სწორად გამოიყენონ კოლმეურნეობებში არსებული აგრონომიული ძალები და მოამზადონ ახალი კადრები—განსაკუთრებით მიწათმომწყობები.

სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ თესლბრუნვა თავისთავად გადასწყვეტს მოსავლიანობის გადიდების ყველა საკითხს. ნუ დავივიწყებთ, რომ სწორი თესლბრუნვა ითვალისწინებს უაღრესად მოწინავე აგროტექნიკას. მაშასადამე, თესლბრუნვის განხორციელებასთან ერთად აუცილებელია ყველა სხვა აგროღონისძიების ზუსტად გატარება, როგორიც არის, მაგალითად, ხვნისა და თესვის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება, ჯიშიანი თესლი, ანეულის გაფართოება, ნათესების დროულად დამუშავება, მინდვრებში სასუქის შეტანა. ყოველივე ამის გარეშე თესლბრუნვის გატარება იქნება მხოლოდ ფორმალური და სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

უკანასკნელი წლების მანძილზე, მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა, საქართველოში მიღწეულია ახალი წარმატება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. მთელმა რიგმა საკოლმეურნეო ფერმებმა მდიდარი გამოცდილება დააგროვეს საქონლის მოვლის გაუმჯობესების, ნამატის მთლიანად შენარჩუნების, წველადობის ზრდის, მატყლის მიღების საქმეში. მაგრამ ეს გამოცდილება ჯერ კიდევ როდია გადაქცეული ყველა კოლმეურნეობის კუთვნილებად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოში არადამაკმაყოფილებლად სრულდება. სახელმწიფო გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ ბაშკიჩეთის, ბორჩალოს, თიანეთის, წალკის, ბოლნისის, სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოს, კასპის, წულუკიძის, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონები. ბევრგან არასაკმაო ყურადღებას იჩენენ მუშა საქონლის განვითარების გეგმის შესრულებისადმი. მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პირუტყვის სულადობის ზრდას კოლმეურნეობათა მიერ საკუთარი მოშენების ხარჯზე. პირუტყვის მოუვლელობისა და არაწესიერი კვების შედეგად არის საქონლის სიკვდილიანობის შემთხვევები. ბევრგან არ სრულდება პირუტყვის პროდუქტიულობის დაწესებული გეგმა. მიზეზი ის არის, რომ აღმოფხვრილი არ არის პირუტყვის სიბერწე, დედაპირუტყვის კვება და მოვლა მთელ რიგ კოლმეურნეობებში უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ზოგან სუსტად ემზადებიან ზამთრისათვის. ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ფოთისა და მახარაძის რაიონების კოლმეურნეობებს 5 სექტემბრისათვის დაწყებული არ ჰქონდათ თივის აღება. ყვარლის, ახალციხის, ტყიბულის, ჭიათურის რაიონებს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს ამ რიცხვისათვის დაწყებული არ ჰქონდათ საკვების დასილოსება.

შეუწყნარებლივ ჭიანურდება საქონლის ახალი სადგომების მშენებლობა და ძველის რემონტი, რაც საფრთხეს უქმნის პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრებას.

მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა უნდა შეასრულოს ყველა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, რაიონმა. ამისათვის საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ საქონლის მოვლა, უზრუნველვყოთ მისი წესიერი კვება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ჯიშთა შემადგენლობის გაუმჯობესებას, ვეტერინარული მომსახურების, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესებას. მეცხოველეობის დარგში დავალებათა შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა ზამთრისათვის საუკეთესოდ მომზადება, მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

პლენუმმა მოსთხოვა რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს აღკვეთონ კამპანიურობა მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობაში, სისტემატურად და კონკრეტულად იმუშაონ მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე, დარაზმონ პარტიული ორგანიზაციები და კოლმეურნეები მიმდინარე წლის სახელმწიფო დავალებას მთლიანად შესრულებისა და საქონლის მოვლის გაუმჯობესებისათვის.

პლენუმზე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა პარტიულ ორგანიზაციებს მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები დაუსახა სწორი თესლბრუნვის გასატარებლად, მემინდვრეობის დარგში მუშაობის შემდგომ გასაუმჯობესებლად და მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესასრულებლად. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ჩარკვიანის მითითებანი წარმოადგენენ საბრძოლო პროგრამას, რომლის განხორციელება უზრუნველჰყოფს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

საკოლმეურნეო სოფლის წინაშე დასმული ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა ფართოდ გავშალოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, განვუმარტოთ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს ნათესბალახიანი თესლბრუნვის შემოღებისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა.

გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებული კოლმეურნე გლეხობა მთელ ენერგიასა და ძალას ახმარს ახალ წარმატებათა მოპოვებას. სოფლად ამაყად ფრიალებს სოციალისტური შეჯიბრების დროშა. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ბევრგან კარგად ასრულებენ ყუბანელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს. კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება სოფლად, პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი ვალი სოციალისტური სამშობლოს წინაშე!

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებსაც ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით წლების განმავლობაში ზრდიდა ამხანაგი ლავრენტი პავლეს ძე ბერია, ყველაფერს გააკეთებენ დიდი სტალინის დავალებათა შესასრულებლად, განუხრელად განახორციელებენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებებს და ამით კიდევ უფრო გააძლიერებენ და გაამშვენიერებენ ჩვენს რესპუბლიკას.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

12-13 სექტემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი.

1. კოლმეურნეობებში თესლბრუნვის აღდგენისა და შემოღების შესახებ.

2. საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

პირველ საკითხზე პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **ს. ხოშტარიამ.**

ამხ. **ს. ხოშტარიას** მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **ბ. ყურაშვილმა** (საგარეჯოს რაიონი), **გ. მიხანაშვილმა** (გორის რაიონი), **ვ. მირიანაშვილმა** (წითელწყაროს რაიონი), **მ. ციხისთავმა** (ყვარლის რაიონი), **ნ. კეცხოველმა** (აკადემიკოსი), **მ. ალავერდაშვილმა** (სიღნაღის რაიონი), **ვ. კობახიძემ** (თბილისის რაიონი), **შ. კოჩლაძემ** (ბორჩალოს რაიონი), **ი. კუჯიაშვილმა** (ყარაიის რაიონი)).

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ მეცხოველეობის დარგში ამხ. **კ. ჭიჭინაძემ.**

ამხ. **კ. ჭიჭინაძის** მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები **დ. გელაშვილი** (ახალქალაქის რაიონი), **ი. გალდავა** (ლენინგორის რაიონი), **ი. დვალი** (ბაშკიჩეთის რაიონი), **გ. ხეხნიაშვილი** (თელავის რაიონი), **ვ. ბერაძე** (საჩხერის რაიონი), **ვ. ცხოვრებაშვილი** (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი), **ნ. ოვანოვი** (ბოგდანოვკის რაიონი), **რ. კვირკველია** (სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში), **ლ. გაბრიაძე** (ქუთაისის რაიონი), **გ. ცხოვრებაძე** (ვანის რაიონი).

პლენუმის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. ჩარკვიანმა.**

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

კომუნიკე

მოსკოვში საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მოლაპარაკების შესახებ

4-დან 13 სექტემბრამდე მოსკოვში რუმინეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ დოქტორ პეტრუ გროზას და ვიცე-პრემიერ და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ გ. ტატარესკუს ყოფნის დროს მოლაპარაკება სწარმოებდა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის მთავრობებს შორის იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის ურთიერთობასთან.

ბ-ნი გროზა, ბ-ნი ტატარესკუ და მათთან ერთად მოსულნი რუმინეთის მინისტრები მიიღეს ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა, აგრეთვე ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და ა. ი. მიქოიანმა.

მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობის მთელი რიგი პრობლემები. მოლაპარაკებაში სსრ კავშირის მხრივ მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები ა. ი. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი, რუმინეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ი. ზ. სუსაიკოვი. საბჭოთა კავშირის ელჩი რუმინეთში ამხ. ს. ქავთარაძე და სხვები, ხოლო რუმინეთის მხრივ, ბ-ნ პეტრუ გროზასა და ბ-ნ ტატარესკუს გარდა, გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ბ-ნი გეორგიუ დეჟი, სახალხო განათლების მინისტრი ბ-ნი ს. ვოიტეკი, თავმჯდომარე რუმინეთის კომისიისა დროებითი ზავის პირობების შესრულების დარგში ბ-ნი გელმეჯანუ, ბ-ნი სოლაკოლუ, ბ-ნი შკიოპუ და სხვები.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგებისა და გულითადობის ვითარებაში და დამთავრდა მთელი რიგი შეთანხმებებით, რომლებიც მიმართულია რუმინეთის იმ სახალხო უბედურების — სასურსათო კრიზისის ლიკვიდაციისაკენ, რომელიც წარმოიშვა ამა წლის ძლიერ გვალვასა და მოუსავლობასთან დაკავშირებით.

გასაგებია, რომ ასეთი სასურსათო მდგომარეობა რუმინეთში ამჟამად აძნელებს იმ ვალდებულებათა მთლიანად შესრულებას, რომლებიც რუმინეთს აკისრია რუმინეთთან დროებითი ზავის შესახებ 1944 წლის 12 სექტემბრის შეთანხმების პირობების შესაბამისად.

იმასთან დაკავშირებით, რომ რუმინეთმა ლოიალურად შეასრულა ეს ვალდებულებანი დროებითი ზავის პირველი წლის განმავლობაში და იმის გამო, რომ სსრ კავშირის მთავრობა დარწმუნებულია, რუმინეთის მთავრობა მომავალშიც კეთილსინდისიერად შეასრულებს დროებითი ზავის პირობებს, საბჭოთა მთავრობამ შესაძლებლად დაინახა დაეკმაყოფილებინა რუმინეთის მთავრობის თხოვნა.

მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება, რომ რუმინეთის მთავრობას რუმინელი მოსახლეობის საჭიროებისათვის სესხად ნატურით მიეცეს 150 ათასი ტონა ხორბალი და 150 ათასი ტონა სიმინდი, რაც დაბრუნებულ უნდა იქნას ნატურით 1946-1947 წლების განმავლობაში და რასაც უნდა დაერიცხოს ხუთი პროცენტი მარცვლეული ნატურით.

გარდა ამისა, მიღწეულია შეთანხმება, რომ რუმინეთმა რეპარაციით დაკისრებული მარცვლეულის მიწოდება შესცვალოს სხვა პროდუქტებით და მარცვლეულის მიწოდების მეორე ნაწილი განვადებულ იქნას მომავალი წლის მოსავლამდე.

მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება, რომ რამდენადმე შემცირებულ იქნას რუმინეთის მიერ სასურსათო და საფურაჟე მარცვლეულის მიწოდება რუმინეთში მყოფი საბჭოთა ჯარების საჭიროებისათვის, აგრეთვე ნივთიერი კმაყოფის საგნებისა და ფულადი სახსრებისა, რაც გათვალისწინებულია დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების მე-10 მუხლით.

ამასთან ერთად, საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა შეამციროს რუმინეთის დავალიანების თანხა დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების მე-12 მუხლის თანახმად საბჭოთა კავშირისათვის ქონების დაბრუნების ხაზით და ამ ქონების დაბრუნება განვადებულ იქნას სამი წლით.

ამით მიღწეულია სრული თანხმობა რუმინეთის მიერ აღნიშნული შეთანხმების მე-12 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ამომწურავი შესრულების საშუალებათა განსაზღვრის საქმეში. გარდა ამისა, საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა დააკმაყოფილოს რუმინეთის მთავრობის თხოვნა რუმინეთის მთელი რკინიგზების მმართველობის მისთვის გადაცემის, რუმინეთის რკინიგზების ორთქლმავლებისა და ვაგონების პარკის გადიდების შესახებ, რუმინეთისათვის სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო ფლოტების დაბრუნების შესახებ იმ გემთა რაოდენობიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირს ეკუთვნიან, როგორც სამხედრო დავლა, და სხვ. ორივე მთავრობა შეთანხმდა აგრეთვე რუმინელ სამხედრო ტყვეთა საკითხზე, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის რეპატრიაცია უკვე ხორციელდება.

ორივე ქვეყნის ინტერესთა მიხედვით გადაჭრილ იქნა აგრეთვე საკითხი იმ ბესარაბიელი და ბუკოვინელი საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის შესახებ, რომლებიც რუმინეთში ცხოვრობენ.

მოსკოვში რუმინეთის დელეგაციის წევრთა ყოფნის დროს რუმინეთის სახალხო განათლების მინისტრი ბ-ნი ს. ვოიტეკი მიიღო რსფსრ განათლების სახალხო კომისარმა, აკადემიკოსმა ვ. პ. პოტიომკინმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ს. ვ. კაფტანოვმა, ამასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება ორივე ქვეყანას შორის კულტურისა და განათლების დარგში თანამშრომლობის დასამყარებლად.

სსრ კავშირში ჩამოვიდა ფინეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი კაია სუნდსტრემი

13 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ქ. სუნდსტრემი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნ ქ. სუნდსტრემს შეხვდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი.

მოსკოვიდან გაემგზავრნენ რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი პ. გროზა და რუმინეთის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი გ. ტატარესკუ

13 სექტემბერს მოსკოვიდან გაემგზავრნენ რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი პ. გროზა, ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი გ. ტატარესკუ, გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ბ-ნი გ. გეორგიუ-დეჟი, სახალხო განათლების მინისტრი ბ-ნი ს. ვოიტეკი, ბ-ნი მ. გელმეჯანუ, ბ-ნი მ. სოლაკოლუ, ბ-ნი ბ. შკიოპუ.

ამავე დროს მოსკოვიდან გაემგზავრნენ სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ს. ი. ქავთარაძე და რუმინეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ი. ზ. სუსაიკოვი.

მიმავალნი ცენტრალურ აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, გზათა სახალხო კომისარმა ი. ვ. კოვალიოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეებმა ა. ი. ვიშინსკიმ და ვ. გ. დეკანოზოვმა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ა. დ. კრუტიკოვმა, გზათა სახალხო კომისრის მოადგილემ ბ. ნ. არუთინოვმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ა. იასნოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა ა. პ. პავლოვმა, ფ. ფ. მოლოჩკოვმა, ა. პ. ვლასოვმა.

მიმავალნი აგრეთვე გააცილა რუმინეთის საელჩოს შემადგენლობამ ელჩის ბ-ნ ი. იორდანის მეთაურობით.

გაცილებისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა რუმინეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ბ-ნ პეტრუ გროზას განცხადება

მოსკოვიდან წასვლისას, რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა პეტრუ გროზამ მიკროფონთან შემდეგი განცხადება გააკეთა:

„ათი დღის განმავლობაში ჩვენ სტუმრად ვიყავით საბჭოთა კავშირის მშვენიერ დედაქალაქში. სიყვარული და სტუმართმოყვარეობა, რომლითაც ჩვენ მოგვეპყრნენ, ჩვენს მადლობის გრძნობას იწვევს ამ მშვენიერი მიღებისათვის, და ჩვენ საუცხოო მოგონებანი გვექნება ამ დიად ქალაქზე.

ჩემი სახელით და ჩემი კოლეგების სახელით თვითმფრინავიდან მხურვალე სალამს ვუძღვნი მოსკოვს, სანამ მის მიწას დავტოვებდეთ. მაგრამ, ამ მადლობასთან ერთად, ჩვენ განვიცდით სიხარულს, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, რომ საბჭოთა მთავრობასთან ერთად ჩვენი ათი დღის მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო. ჩვენი მუშაობა უზრუნველჰყოფს შედეგებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ორივე ქვეყნის კეთილდღეობას.

ეს კარგი ურთიერთგაგება და საუცხოო თანამშრომლობა კიდევ ერთი ქვაკუთხედი იქნება იმ მუდმივი მეგობრობისა ორ მეზობელ ქვეყანას შორის, რომელსაც ჩვენ ვქმნით.

ჩემი სახელით და ჩემი კოლეგების—მთავრობის წევრების სახელით ვუსურვებ ამ დიად ქვეყანას სრულ აყვავებას.

ჯანმრთელობას ვუსურვებ საბჭოთა მთავრობის წევრებს.

ჯანმრთელობას ვუსურვებ ყველა იმათ, ვინც ხელმძღვანელობს ამ დიდ ხალხს, გენერალისიმუს **სტალინის** მეთაურობით, რომლისაკენაც ახლა მიპყრობილია ჩვენი ღრმა და დიდი მადლობა იმ ფაქტისათვის, რომ ერთხელ კიდევ დადასტურდა საბჭოთა კავშირის დიდი სულგრძელობა რუმინელი ხალხის მიმართ, რომელიც ჩემი სახით სალამს უძღვნის მას და უსურვებს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას".

უკანასკნელი ცნობები

იაპონიის ფელდმარშალ სუგიამას თვითმკვლელობა

ტოკიო, 13 სექტემბერი. (საკდესი). იაპონიის დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, 12 სექტემბერს თავი მოიკლა იაპონიის შინაგანი თავდაცვის არმიის მთავარსარდალმა სუგიამამ.

მან თავი მოიკლა ტოკიოში, იაპონიის შინაგანი თავდაცვის არმიის შტაბში. ომის დროს ფელდმარშალ სუგიამას სამხედრო მინისტრისა და არმიის გენერალური შტაბის უფროსის პოსტი ეკავა.

ომის იაპონელ დამნაშავეთა სიის გამოქვეყნება

სან-ფრანცისკო, 13 სექტემბერი. (საკდესი). სან-ფრანცისკოს რადიო ტოკიოდან გადმოგვცემს ცნობას იმის შესახებ, რომ გენერალმა მაკარტურმა გამოაქვეყნა სია ომის იაპონელ დამნაშავეებისა, რომლებიც დაპატიმრებულ უნდა იქნან უახლოეს ხანში. სიაშია 40 მამაკაცისა და ერთი ქალის გვარები. ტოჯიო აღნიშნულია, როგორც ომის დამნაშავე № 1. სიაშია აგრეთვე ტოჯიოს ყოფილი კაბინეტის 9 წევრის გვარები, ტოგო—საგარეო საქმეთა მინისტრი ტოჯიოს კაბინეტში, ადმირალი სიმადა, რომელიც იაპონიის სამხედრო ხოვის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი იყო პირლ-ჰარბორზე თავდასხმის დროს, და ყოფილი ფინანსთა მინისტრი კაია, გარდა ამისა, სიაშია ორი ავსტრალიელის გვარი, აგრეთვე რამდენიმე ფილიპინელი (მათ შორის ლაურელი და ვარგასი), ინდოელი და ბირმელი.

საბჭოთა ხალხის ანგარიში გერმანიისადმი

დღეს „პრავდაში" ქვეყნდება გერმანულ ფაშისტ დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა გამომძიებელი და გამომრკვევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობა [illegible] ზარალის შესახებ, რაც [illegible] მიაყენეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საწარმოებს და დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოქალაქეებს.

[illegible]

უდავო სიზუსტით დამტკიცებულია, რომ დანაშაულებრივმა ჰიტლერულმა მთავრობამ და გერმანიის გენერალურმა შტაბმა ომამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე დეტალურად შეიმუშავეს არა მარტო საბჭოთა კავშირზე ვერაგული თავდასხმის გეგმა, არამედ ჩვენი სამშობლოს ორგანიზებული განადგურებისა და გაძარცვის გეგმა. ამას, კერძოდ, მოწმობს გერინგისა [illegible]

[illegible] გაძარცვეს და დაანგრიეს ტოლსტოის იასნაია პოლიანა, სადაც თვითეული ქვა, თვითეული ხე მოგვაგონებს დიდ მწერალს, რომლის სახელი ძვირფასია არა მარტო თვითეული რუსი ადამიანისათვის, არამედ მსოფლიოს ყოველი კულტურული ადამიანისათვისაც. მათ კლინში მოსპეს სახლი, სადაც მუშაობდა რუსული მუსიკის გენიოსი ჩაიკოვსკი. საზიზღარი [illegible]

[illegible] ახსოვს. და ახლა, როცა ჰიტლერული გერმანია განადგურებულია, ჩვენი ხალხი თავის ანგარიშს აყენებს. ჰიტლერელმა დამნაშავეებმა სრული პასუხი უნდა აგონ თავიანთი საშინელი ბოროტმოქმედებებისათვის, ხოლო გერმანიამ უნდა აანაზღაუროს ჩვენი ქვეყნისათვის მიყენებული ზარალი.

„პრავდის" 13/IX მოწინავე

საბჭოთა კავშირში

ახალი მშენებლობა სომხეთის დედაქალაქში

ერევანი, 8 სექტემბერი. (საქტაგ). როგორც კი დამთავრდება შრომითი დღე ერევნის საწარმოებში, ასობით მუშა გამოდის ქალაქის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალის — ორჯონიკიძის სახელობის პროსპექტის მშენებლობაზე. სომხეთის დედაქალაქში შენდება საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები.

მწვანე ნარგავის რკალს სჭრის ახალი ფართო არაბკირის ქუჩა. აქ აგებულ იქნება სომხეთის სსრ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ახალი შენობა, რომლის პროექტზეც ამჟამად მუშაობს არქიტექტორი აკადემიკოსი ალაბიანი.

სიხარულის გრძნობით შესცქერიან ერევნელები თავიანთ დედაქალაქში აგებულ ათობით ახალ შენობას. ქალაქი, რომელსაც სამი მხრიდან არტყია არაბკირის, კანაკირისა და ნორკის ზეგანი, ხეხილით დაფარული გორაკები, სახეს იცვლის. ქვის მთლელი ოსტატები ახალი შენობების შავსა და ვარდისფერ ტუფს სჭრიან მშვენიერ ძველ სომხურ ორნამენტებს.

გაჩაღებულია ინდივიდუალური მშენებლობა სომხეთის დედაქალაქის გარეუბნებში. მწვანე ხეებში ჩაფლული პატარა ერთსართულიანი სახლი ბაღ-ბოსტნითურთ — [illegible] ინდივიდუალურ მშენებელთა კარმიდამო, რომელთა უპირატესობა ყოფილ ფრონტელებს აქვთ. მათ მიეცათ მნიშვნელოვანი ფულადი სესხი [illegible] წლის ვადით. დახმარებას უწევენ აგრეთვე სამშენებლო მასალით.

კიროვის ქარხნის (ლენინგრადი) ფართო მოხმარების საქონლის საამქრო წარმოების ნარჩენებისაგან ამზადებს სხვადასხვა ჭურჭლეულს. სურათზე: ორასოვანი სტახანოველები ე. მ. ჩუმაკოვა და ა. მ. ეფიმენკოვა ალაგებენ მზა პროდუქციას.

ფოტო გ. კაპუსტინისა

(საქტაგის ფოტოქრონიკა)

საირიგაციო მშენებლობა უზბეკეთში

ტაშკენტი, 11 სექტემბერი. (საქტაგ). უზბეკეთში მებამბეობის შემდგომი განვითარების მიზნით დიდი საირიგაციო და სამელიორაციო მშენებლობა ხორციელდება.

მდინარე სოხის ფერგანის ხეობაში დაიწყო სარი-ყურღანის დიდი ჰიდროკვანძის აგება, რომელიც მზად იქნება 1946 წლის რწყვის სეზონისათვის და უზრუნველყოფს 110 ათას ჰექტარ ფართობზე წყლის შეუფერხებელ მიწოდებას.

ათასობით კოლმეურნე გამოვიდა კოლექტორულ-შემკრები ქსელის მშენებლობაზე, რომელიც მდებარეობს ფერგანის ხეობაში იაზიავანის ველის ჩრდილო-აღმოსავლეთით. დაიწყო მუშაობა ანდიჟანისა და ფერგანის ოლქებში და ტაშკენტის ოლქის შუა ჩირჩიკის რაიონში. მარტო წლევანდელ შემოდგომის განმავლობაში უნდა ამოღებულ იქნას 6.5 მილიონი კუბური მეტრი მიწა. მომავალი წლის გაზაფხულზე უზბეკი მებამბეები 190 ათას ჰექტარ ახალ ნოყიერ მიწას მიიღებენ. უახლოეს ორ წელიწადში დასახულია 260 ათასი ჰექტარი ნაზხატი მიწის ათვისება.

ტრამვაის მშენებლობა დრუჟკოვკაში

დრუჟკოვკა (სტალინის ოლქი), 11 სექტემბერი. (საქტაგ). აქ დაიწყო 3.5 კილომეტრი სიგრძის ტრამვაის ხაზის გაყვანა.

ყოველდღე ასობით დრუჟკოვკელი გამოდის მშენებლობაზე. მთელი ტრასა დაყოფილია ნაკვეთებად, რომლებიც მიმაგრებულია ქალაქის საწარმოებზე. ჰაინეკის ქარხნის და სამთო მანქანათმშენებლობის ქარხნის ელექტროსაამქროები არასამუშაო დროს აკეთებენ ელექტრომოწყობილობას ქვესადგურისათვის, რკინიგზის სამქროთა მუშები აწყობენ შპალებს, რელსებს.

5 დეკემბერს დრუჟკოვკაში პირველი ტრამვაი გაივლის.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ

იაპონიის კაპიტულაციამდე ცოტა ხნით ადრე ამერიკელმა სენატორმა ჯონსონმა წინადადება წამოაყენა, რომ გერმანიიდან ტყვედ წაყვანილი 132 იაპონელი დიპლომატისათვის ეჩვენებინათ ამერიკის შეერთებული შტატების ინდუსტრიული ძლიერება, შემდეგ კი ისინი იაპონიაში გაეგზავნათ იმ მიზნით, რომ დაერწმუნებინათ იაპონიის ხელისუფალნი ომის განგრძობის უიმედობაში.

ეს სიტყვები ასახავდნენ იმ სიძნელეებს, რომლებთანაც დაკავშირებული იყო იაპონიის წინააღმდეგ ომის განგრძობა. იაპონიას ჰყავდა რამდენიმე მილიონი კაცისაგან შემდგარი ბრძოლისუნარიანი სახმელეთო არმია, რომელსაც შეეძლო გაეხანგრძლივებინა ომი. და მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჩაბმამ იაპონიის წინააღმდეგ ომში, როდესაც იაპონიის არმიამ განიცადა შემმუსვრელი დარტყმები მსოფლიოში უძლიერესი არმიის — წითელი არმიისაგან, საბოლოოდ გადასწყვიტა აღმოსავლეთელი აგრესორის ბედი.

მაგრამ „ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ ომი მოვიგოთ, არამედ ისიც, რომ ახალი აგრესიისა და ახალი ომის წარმოშობა შეუძლებელი გავხადოთ, თუ სამუდამოდ არა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაინც". (სტალინი).

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგაც, ინგლისისა და ამერიკის ბევრი გაზეთი ვერ ფარავს თავის შეშფოთებას იმის გამო, რომ ის პირობები, რომლებშიც კაპიტულაცია ხდებოდა, უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვენ გამარჯვებულთაგან. როგორც გარკვევით აღნიშნულია ლონდონელი ჟურნალისტის ჯონ მორისის კომენტარში, იაპონელი მილიტარისტები ცდილობენ იმგვარად დაგვიხატონ საქმე, თითქოს მათ ბრძოლის ველზე დამარცხება არ განუცდიათ, ისე მოახდინეს კაპიტულაცია. ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს:

„გენერალ მაკარტურთან მიწერ-მოწერაში ტოკიოს ხელისუფალნი ვაჰრობდნენ ყოველი მძიმესათვის, თითქოს საქმე ეხებოდა მოლაპარაკებას თანასწორთა შორის და არა დამარცხებულ მტერსა და პირობების მოკარნახე ადამიანს შორის. ალბათ ამას უნდა მივაწეროთ იმპერატორის მიერ გამოქვეყნებულ რესკრიპტში მოყვანილი თეზისი, რომ იაპონიამ კაპიტულაცია მოახდინა არა ბრძოლის ველზე დამარცხების შედეგად, არამედ იმის სურვილის გამო, რომ მსოფლიო იხსნას შემდგომი სისხლისღვრისაგან"(!).

გაზეთები ვერ ფარავენ გაკვირვებას იმის გამო, რომ იაპონიის პრემიერად დაინიშნა პრინცი ხიგასიკუნი — იმპერატორის ნათესავი და იაპონიის საიმპერიო გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, მაშასადამე, ისეთი კაცი, რომელიც იზიარებს პასუხისმგებლობას იაპონიის აგრესიული პოლიტიკისათვის.

დასასრულ, მეტად სიმპტომატურია ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ მანილიდან გადმოცემული ცნობა, რომ ამერიკის არმიის ბრიგადის გენერალმა დრეიკმა, რომელიც წითელი არმიის მიერ მუკდენის საპყრობილიდან განთავისუფლების შემდეგ ჩავიდა იქ, მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ იაპონიის არმიები დამარცხებულ არ იქნენ ბრძოლის ველზე ისევე, როგორც წითელმა არმიამ კვანტუნის არმია დაამარცხა.

ასეთ მდგომარეობას ლონდონის გაზეთი „ტაიმსი" იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ის „პირობები, რომლებშიც იაპონიის კაპიტულაცია ხდება, უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვენ მოკავშირეთაგან. იაპონიის მდგომარეობა ამ მხრივ იმდენად ემსგავსება გერმანიის მდგომარეობას 1918 წელს, რომ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება".

ეს ისტორიული პარალელი, უნდა ვიფიქროთ, ტყუილად როდია გავლებული. როგორც ცნობილია, გერმანელი იმპერიალისტები, 1918 წელს დამარცხების შემდეგ ახალი ომისათვის რომ ემზადებოდნენ, თავიანთ პროპაგანდაში გულმოდგინედ უსვამდნენ ხაზს იმ ფაქტს, რომ გერმანიამ მაშინ კაპიტულაცია მოახდინა იმ დროს, როცა არც ერთი უცხოელი ჯარისკაცი გერმანიის ტერიტორიაზე არ მდგარა, არამედ, პირიქით, გერმანიის ჯარებს ეკავათ სხვისი ტერიტორია. გერმანიის დელეგაციას დროებით ზავზე მოლაპარაკების დროს მაშინ სათავეში ედგა ცენტრის პარტიის ლიდერი მატიას ერცბერგერი. მან დამარცხებული გერმანიის სახელით კომპიენის ტყეში მარშალ ფოშის ვაგონში ხელი მოაწერა შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ. შემდეგში გერმანელი გენერლები, უფრო გვიან კი ჰიტლერელებიც, ცდილობდნენ, და არც თუ უშედეგოდ, შეექმნათ ლეგენდა, რომ გერმანიამ პირველ მსოფლიო ომში კაპიტულაცია მოახდინა არა იმიტომ, რომ დამარცხება განიცადა, არამედ რევოლუციონერების მიერ „ზურგში დანის ჩაცემის" გამო. ამ რევოლუციონერების რიცხვს მათ მიაკუთვნეს ერცბერგერიც, თუმცა მას, რასაკვირველია, არავითარი დამოკიდებულება რევოლუციონერებთან არ ჰქონია და მოქმედებდა გერმანიის კანცლერ მაქს ბადენელის პირდაპირი დავალებით, მას შემდეგ, რაც ჰინდენბურგმა და ლუდენდორფმა აღიარეს გერმანიის დამარცხება. ახლა იაპონელი იმპერიალისტები ცდილობენ შექმნან ასეთივე ლეგენდა, რათა ახალი ომისა და აგრესიის გაჩაღება გაიადვილონ.

თავის მიმართვაში ხალხისადმი ამხანაგმა სტალინმა გარკვევით აღნიშნა, რომ სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები[1]) საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვლენ და ამიერიდან ისინი ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნებიან, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბაზა.

თავისი აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იაპონიამ ჯერ კიდევ 1904 წელს დაიწყო. იაპონიის ისტორია XX საუკუნის პირველ ნახევარში ჩინეთისა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირზე ვერაგული და მტაცებლური თავდასხმების ისტორიაა.

საინტერესოა, რომ, როცა ფაშისტური გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, ყოფილმა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაცუოკამ, უცხოელი კორესპონდენტების მიღებისას, მიუთითა ლექსზე, რომელიც, როგორც დევიზი, გამოკრული იყო მისი კაბინეტის კედელზე. ამ ლექსში ნათქვამი იყო:

„დაცვივნულ ფოთოლს იაპონია აჰკრეფს აღმოსავლეთში, როცა მას ქარი დასავლეთიდან მოიტანს".

იაპონია, როგორც უფრო სუსტი პარტნიორი იაპონია-გერმანიის ბანდიტურ ბლოკში, აპირებდა გერმანიის გამარჯვებათა ნაყოფით ესარგებლა. გერმანიის პირველი წარმატებებისთანავე იაპონია შეუდგა „დაცვივნული ფოთლის" აკრეფას აღმოსავლეთში, რამაც ერთხანს გერმანელთა უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. როცა ჰიტლერმა საფრანგეთი დაიპყრო, იაპონიამ ხელთ იგდო საფრანგეთის კოლონია ინდო-ჩინეთი. როცა ჰიტლერმა დაიპყრო ჰოლანდია, იაპონიამ ჰოლანდიის ინდოეთი დაიკავა. იაპონელი იმპერიალისტები ვარაუდებს ამყარებდნენ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წარმატებებზე საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილში, რომ ხელში ჩაეგდოთ საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი. 1942 წელს იაპონელთა ძალები, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ ჩვენს შორეული აღმოსავლეთის საზღვრებთან, მოუთმენლად ელოდნენ ჰიტლერის მიერ სტალინგრადის აღებას.

მაგრამ გერმანიის ქარმა „დაცვივნული ფოთოლი" ვერ მიიტანა აღმოსავლეთში. მამაცმა წითელმა არმიამ სტალინგრადთან თავისი ისტორიული გამარჯვებით გააცამტვერა იაპონელთა ვარაუდები. მათ ვეღარ გაბედეს საბჭოთა კავშირზე თავდასხმა, მაგრამ, როგორც ნათქვამი იყო საბჭოთა მთავრობის ამა წლის 5 აპრილის განცხადებაში საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტის დენონსაციის შესახებ, იაპონია ეხმარებოდა გერმანიას მის ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ და პროვოკაციულად დაესხა თავს სსრ კავშირის მოკავშირეებს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს 1941 წლის დეკემბერში.

იაპონელი მტაცებელი სხვა რამისათვის ემზადებოდა. სხვა რამისათვის ემზადება იგი ახლაც. ცალ ხელს კაპიტულაციის რომ აწერს, იაპონელი აგრესორი მეორე ხელით ყოველივე იმას ებღაუჭება, რაც კი შეიძლება რევანშისათვის დასჭირდეს. მხოლოდ მტკიცე და გადამწყვეტმა პოლიტიკამ დამარცხებული აგრესორის მიმართ შეიძლება მოიტანოს სასურველი შედეგი.

• • •

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა ჩინეთის დაქსაქსული ნაწილების გაერთიანებლად. ამ მხრივ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერის მაო ძე-დუნის ჩუნცინში ყოფნა და გომინდანთან მოლაპარაკება დიდი მოვლენაა ჩინეთის მომავალი ბედისათვის.

იაპონელი აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლის მანძილზე იანიანის რეჟიმი (ჩინეთის განსაკუთრებული რაიონი) ძლიერ განმტკიცდა. ჯერ კიდევ 1931 წელს, რეაქციის წინააღმდეგ ჩინეთის დემოკრატიული ძალების წარმატებითი ბრძოლის შედეგად, შესდგა საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც ჩამოაყალიბა ცენტრალური საბჭოთა მთავრობა. საბჭოების მეორე ყრილობა შესდგა 1934 წელს. ამ დროს ცენტრალური საბჭოთა რაიონი იმყოფებოდა ძიანსის პროვინციაში, სადაც ჩინეთის წითელი არმიის მთავარი ძალები წარმატებით იგერიებდნენ ჩინეთის რეაქციის შეტევას.

1935 წლის დამდეგს დამთავრდა არაჩვეულებრივად ძნელი გადასვლა ჩინეთის წითელი არმიის ძირითადი ძალებისა ძიანსიდან დასავლეთით — შენსისა და განსუს პროვინციებში. რამდენადმე უფრო გვიან ჩინეთის საბჭოთა რაიონები ნინსიას პროვინციის ხარჯზე გაფართოვდნენ. ჩინეთის საბჭოთა რაიონების მოსახლეობა იმ დროს დაახლოებით 2 მილიონ კაცს შეადგენდა.

საბჭოთა მთავრობამ გაატარა საყოველთაო საარჩევნო უფლება, მიწის ნაციონალიზაცია, მიიღო ზომები მრეწველობის განვითარებისათვის და შეუპოვარი ბრძოლა გამართა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად. მაგრამ ჩინეთის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ სთვლიდნენ ჩინეთის საბჭოთა რაიონებს დანარჩენი ჩინეთისაგან რაღაც იზოლირებულ მხარედ, არამედ განიხილავდნენ მას როგორც მთელი ჩინეთის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის ავანგარდს. ამიტომ ჯერ კიდევ 1935 წელს ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ გომინდანს წინადადებით მიმართა შექმნილიყო ჩინელი ხალხის ერთიანი საერთო-ნაციონალური ფრონტი იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ. პროიაპონურმა ელემენტებმა, რომლებიც იმ დროს გაბატონებული იყვნენ გომინდანში, უარყვეს ეს წინადადება და მხოლოდ 1936 წლის დეკემბერში გომინდანთან მიღწეულ იქნა შეთანხმება სამოქალაქო ომის შეწყვეტის საკითხზე. 1937 წლის სექტემბერში ჩინეთში იაპონელთა ახალი შეჭრის შემდეგ გამოქვეყნდა ცნობა კომპარტიასა და გომინდანს შორის თანამშრომლობის ოფიციალურად დამყარების შესახებ.

ამ შეთანხმების მიხედვით ჩინეთის საბჭოთა რაიონები გარდაიქმნენ ჩინეთის ერთიან დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემავალ ნაწილად—„განსაკუთრებულ რაიონად", ჩინეთის წითელი არმია კი გადაკეთდა მე-4 და მე-8 სახალხო-რევოლუციურ არმიებად, რომლებსაც ჯუ დე და სხვა გამოჩენილი კომუნისტები ხელმძღვანელობენ. ამრიგად ჩამოყალიბდა ერთიანი ნაციონალური ანტიიაპონური ფრონტი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად ჩაშალა იაპონელთა გეგმები.

ერთიანი ანტიიაპონური ფრონტის საფუძველი გახდა სუნ იატ-სენის სამი პრინციპი: ბრძოლა ჩინეთის ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის (ნაციონალიზმი), დემოკრატიული თავისუფლებისათვის (დემოკრატიზმი) და ხალხის კეთილდღეობისათვის („სოციალიზმი"). სუნ იატ-სენის სამი პრინციპის განმარტების განსხვავებამ ხელი ვერ შეუშალა გომინდანის ნამდვილად პროგრესულ და დემოკრატიულ ელემენტებს შეთანხმებოდნენ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას ჩინეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საფუძვლებზე.

იაპონიის წინააღმდეგ ომის მსვლელობაში გომინდანის მემარჯვენე ელემენტებმა დაარღვიეს კომუნისტურ პარტიასთან შეთანხმება, მაგრამ ამით კომუნისტური პარტიის გავლენა და ძალა კი არ შესუსტებულა, არამედ გაიზარდა. იანიანის რეჟიმი (იანიანი განსაკუთრებული რაიონის მთავარი ქალაქია) გადაიქცა მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად, რომლის განკარგულებაშია ტერიტორია 100 მილიონი მოსახლეობით. მე-8 და მე-4 სახალხო-რევოლუციური არმიები აგრეთვე გაიზარდნენ მძლავრ საჯარისო შენაერთებად 900 ათასი კაცით, რასაც უნდა დაემატოს 2,2 მილიონი ჩინელი პარტიზანი. ამ არმიებმა, რომლებსაც გენერალი ჯუ დე და სხვა გამოჩენილი გენერლები ხელმძღვანელობენ, ამერიკელთა ცნობებით, იაპონიის მთელი ძალების ნახევარი დააბანდეს და იაპონელებს მიაყენეს 42 პროცენტი მთელი იმ ზარალისა, რაც მათ ჩინეთში მოუვიდათ.

გომინდანის ძალების მიერ ჩინეთის განსაკუთრებული რაიონის ბლოკადა ხელსაყრელი იყო იაპონელებისათვის, რომლებსაც იმ დროს ეჭირათ ჩინეთის ნახევარი ტერიტორია 230 მილიონი მოსახლეობით. ამიტომ 1944 წლის დამლევს ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ კვლავ სცადა მიეღწია გომინდანთან შეთანხმებისათვის, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია.

მაო ძე-დუნის ახლანდელი მოლაპარაკება ჩუნცინთან, როგორც უცხოეთის პრესიდან შეიძლება დავასკვნათ, საფუძველს გვაძლევს დადებითი შედეგის იმედი ვიქონიოთ. ფიქრობენ, რომ მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვება ჩინეთის დაქსაქსული ნაწილების გაერთიანება, კოალიციური დემოკრატიული მთავრობის შექმნა და ჩინეთში დემოკრატიული წესრიგის დამყარება, რასაც ერთადერთს შეუძლია გამოიწვიოს 450-მილიონიანი ქვეყნის ეკონომიური აღმავლობა. უცხოეთის პრესა აღნიშნავს საბჭოთა კავშირის განსაკუთრებით დადებით როლს ჩინეთის გაერთიანების საქმეში და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ მოლაპარაკებას, რასაც სუნ ძა-ვენი მოსკოვში საბჭოთა მთავრობასთან აწარმოებდა.

კომუნისტური პარტიისა და გომინდანის შესაძლო შეთანხმება მეტად აშფოთებს საერთაშორისო რეაქციულ წრეებს. რეაქციონერები მოუწოდებენ აღმოსავლეთის ხალხების, კერძოდ ჩინელი ხალხის ჩაგვრისა და კოლონიურ მდგომარეობაში ჩაყენებისაკენ. მაგრამ ჩინელი ხალხი იმისათვის როდი ეწეოდა მრავალი წლის ბრძოლას იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომ წარსულს დაუბრუნდეს.

დ. ზავრიევი

[1]) კურილის კუნძულები 1634 წელს აღმოაჩინა ჰოლანდიელმა დე-ფრიზმა. კუნძულები გამოიკვლიეს რუსებმა 1713–18 წლებში. XVIII საუკუნეში კუნძულებზე რუსები დამკვიდრდნენ. 1875 წელს კურილის კუნძულები იაპონიას ხელში გადაეცა სახალინის სამხრეთ ნაწილის სანაცვლოდ. 1904–1905 წლებში რუსეთის დამარცხების შემდეგ იაპონიამ მოსწყვიტა რუსეთს სამხრეთი სახალინი და დამკვიდრდა კურილის კუნძულებზე.

პარტიული ცხოვრება

ორი აგიტატორი

მემინდვრეობის პირველი ბრიგადის წევრებმა ხორბალი მოზიდეს და კალოს მახლობლად ხის ქვეშ ჩამოსხდნენ. მათთან აგიტატორი პ. ხაჩიძე მივიდა. საინტერესო საუბარი გაიბა. შინაარსიანად და მიმზიდველად ლაპარაკობდა აგიტატორი. საერთაშორისო მიმოხილვის შემდეგ იგი კოლმეურნეებს უახლოეს ამოცანებზე ესაუბრა.

— დიდი და სერიოზული სამუშაოები მოგველის, ამხანაგებო, სილოსი უნდა ჩავდოთ, თივა და პურეული დროზე ავიღოთ, მოვემზადოთ საშემოდგომო თესვისათვის. სამუშაო ძალიან ბევრია. მამაცობა ის არის, საქმეს გავწვდეთ.

შემდეგ აგიტატორმა ილაპარაკა შრომის დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობაზე, რაც წარმატების მოპოვების ძირითადი პირობაა, დაასახელა ზოგიერთი კოლმეურნე ქალი, რომლებიც გულგრილად ასრულებდნენ ბრიგადირის დავალებებს, აცდენდნენ სამუშაო საათებს, ზოგჯერ დღეებსაც კი.

აგიტატორის მუშაობაში მთავარია — სიტყვას საქმე მოჰყვეს, ითქვა — გაკეთდეს! პ. ხაჩიძემ მრავალჯერ ჩაატარა ამხანაგური საუბრები იმ კოლმეურნეებთან, რომლებიც შრომის დისციპლინას არღვევდნენ. მიზანსაც მიაღწია. კოლმეურნე ქალები გვარამაძე და ტაბატაძე ახლა დროზე გამოდიან სამუშაოდ და დღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

მოსავლის აღების დროს დანაკარგებს რომ ადგილი არა ჰქონოდა, აგიტატორმა მოზარდებისაგან ჩამოაყალიბა თვეთავის ამკრეფთა რაზმი. რაზმი საუკეთესოდ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

აგიტატორ პ. ხაჩიძეს არაერთხელ უსაუბრნია ბრიგადაში მოწინავე კოლმეურნეების ზაქრო ციცქიშვილის, დავით გრიგალაშვილის, სონა ლაშხის, ნატო გელაშვილის მუშაობის მაღალნაყოფიერებაზე. იგი ყოველთვის დაწვრილებით ახასიათებს და აცნობს კოლმეურნეებს უხვი მოსავლის ოსტატების მუშაობის ხერხებს,ავრცელებს მათს გამოცდილებას.

კომუნისტი აგიტატორი პ. ხაჩიძე შრომაშიც ბეჯითია, მხარში უდგას ბრიგადის წევრებს და დღიურ ნორმებს ერთი ორად გადაჭარბებით ასრულებს.

ამავე კოლმეურნეობის მესამე ბრიგადასაც ჰყავს აგიტატორი — მანია ბეთიაშვილი. ბრიგადა ჩამორჩება. დროულად ვერ ასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. შრომის დისციპლინა სუსტია. კოლმეურნეები ვ. ბეთიაშვილი, მ. ლელაძე, ზ. გელაშვილი 3-4 საათით გვიან გამოდიან სამუშაოდ. ვერ ასრულებენ დღიურ დავალებებს. ნამუშევრის ხარისხიც დაბალია.

როგორ იბრძვის ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად აგიტატორი ბეთიაშვილი? ძალიან ცუდად. იგი თავის მუშაობას კვირაში, ან ორ კვირაში ერთხელ გაზეთის წაკითხვით განსაზღვრავს, არ იჩენს ინტერესს ბრიგადის მუშაობისადმი, ფორმალურად უდგება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

აგიტატორი პ. ხაჩიძე უყვართ ყვიბისელ (ბორჯომის რაიონი) კოლმეურნეებს ცოცხალი და დაუზარებელი მუშაობისათვის. აგიტატორ მანია ბეთიაშვილზე კი ამას ვერ ვიტყვით.

პირველის შრომას ყველა პატივისცემით იხსენიებს, მისი სიტყვა სჯერათ. მეორის სიტყვა უსარგებლოა.

ვლ. გელაშვილი

ასე ზრდიან ახალმიღებულთ

ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ათისთავი კონსტანტინე გოთუა. საქმე ამით როდი დამთავრდა. პარტბიურო ყოველდღიურ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა მის მიმართ, საპატიო მოვალეობა დააკისრეს — სააგიტაციო მუშაობა გაეწია საერთო განყოფილებაში, სადაც თავს იყრიან მეშახტეები. როცა ამხ. გოთუამ თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა აგიტატორმა, მას მიანდეს ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შემსწავლელი წრის ხელმძღვანელობა. ამ საქმესაც ჩინებულად გაუძღვა იგი. პარტიულმა ბიურომ ყველასათვის ცნობილი გახადა ახალმიღებული ამხანაგის ენერგიული და მისაბაძი მუშაობა და ამით კიდევ უფრო წაახალისა იგი.

მალე კ. გოთუა უბნის უფროსის თანაშემწედ დააწინაურეს, მერმე კი — უფროსად. მისი უბანი ახლა ერთ-ერთი საუკეთესოა ტყვარჩელში. მეოთხე თვეა ეს უბანი ზედიზედ ინარჩუნებს გარდამავალ წითელ დროშას.

ამას წინათ ამხ. გოთუა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრად იქნა მიღებული.

ეს მხოლოდ ერთი მაგალითია.

სტალინის სახელობის შახტის პარტიული ორგანიზაცია (პარტიული ბიუროს მდივანი ალ. ცავა) დიდ ყურადღებას აქცევს პარტიაში მიღებისა და ახალმიღებულ ამხანაგებთან მუშაობის საკითხს. მიმდინარე წელს შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო 64 მოწინავე მაღაროელი, ხოლო წევრად — 22.

ახალმიღებულთა შორის არიან ქვანახშირის ოსტატები, შახტის წარჩინებული ადამიანები: გრვი სტურუა, ნიკოლოზ სვიატუნი, ანდრია კონოვალოვი, თევდორე ჯობავა, შალვა ჰითანავა, შალვა ფაშალიშვილი, გურგენ მიქაშავიძე და სხვანი.

ისინი თავიანთ პოსტებზე თავდადებული შრომით ღირსეულად ასრულებენ კომუნისტის საპატიო მოვალეობას, ვიჩენებენ ავანგარდულ როლს.

ხუტა ბერულავა

სიხარულის რთველი

ლამაზი იყო ლეკის ქალი ფატმა. ბევრი ვაჟკაცი ოცნებობდა მასზე, მაგრამ არავის ჰყვარებია ისე, როგორც ერთ ახალგაზრდა მონადირეს, რომლის სახელი ჩვენამდე ვერ მოვიდა. მონადირე ღარიბი იყო და ფატმას მამა არ აძლევდა მას სილამაზით განთქმულ შვილს. მონადირემ მოიტაცა ფატმა. ისინი წინკლდეების მთის ძირს, დაბურულ ტყეს შეეფარნენ. მამამ მდევარი დაადევნა. მაშინ მონადირემ თავისი სატრფო გამოქვაბულში შეიყვანა. მდევარსაც უნდოდა მიჰყოლოდა და იქ ლაეჭირა გაქცეულნი, მაგრამ შიგ ვერ შევიდნენ — გამოქვაბულიდან მდინარემ იჩუხა და მასში შესვლა შეუძლებელი გახადა. მას შემდეგ ფატმასი და მონადირესი აღარავის არაფერი გაუგია, ხოლო ანკარა მდინარე ახლაც გამოდის ამ გამოქვაბულიდან. ხალხმა მას ფატმასური (ლეკურად—ფატმას წყარო) უწოდა.

ასეთია ლეგენდა ფატმასურზე.

ახლა წინკლდეების მთის ძირში (ყვარლის რაიონი) დაბურული ტყის ნაცვლად მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაა გაშენებული. 495 ჰექტარი უჭირავს ამ მეურნეობას. აქედან 195 ჰექტარზე ვაზია გაშენებული, ხოლო დანარჩენზე—სიმინდი, ხორბალი, კარტოფილი უთესიათ. მეურნეობის შუაგულში გაშენებულია საუცხოო საცხოვრებელი სახლები მუშებისათვის, ფართო მარანი, გარაჟი, სკოლა. შენობებს აკრავს დიდი ლამაზი პარკი, დეკორატიული მცენარეებით.

ფატმასურის წყალი ამუშავებს მეურნეობის საკუთარ ელექტროსადგურს, რწყავს ვენახებს.

10 სექტემბერს საბჭოთა მეურნეობამ დაიწყო შერჩევით რთველი. პირველ დღეს ჰკრეფდნენ „ხიხვის“ ჯიშის ყურძენს, 11 სექტემბერს კი — „კაბერნეს“.

საბჭოთა მეურნეობა კარგად მოემზადა რთველისათვის. წელს მოუმატეს ყურძნის საწურავი მეორე მანქანა, რის შედეგად ახლა მარანს შეუძლია დაწუროს დღეში 15 ტონა ყურძენი. მარანში ერთდროულად მოქმედებს 18 სადული კასრი 85 ტონის ტევადობით. მზად არის რთველისათვის საჭირო ყველა ინვენტარი—გოდრები, კალათები, ურმები.

* * *

ალიონზე ათობით ქალი შეეფინა ვაზის მწკრივებს. ხელად ივსება კალათები და გოდრები, ერთმანეთს მისდევენ მარნისაკენ მიმავალი ყურძნით დატვირთული საზიდრები.

აგერ ყველაზე წინ მწკრივში მიდის ფრონტელის ცოლი თიკო აბრამიშვილი. ის გამალებით მუშაობს, ცდილობს მეტი ყურძენი მოჰკრიფოს. სახლში სამი პატარა შვილი ჰყავს. ქმარი მეოთხე წელია წითელი არმიის რიგებშია და ბოლო დროს წერილიც არ მიუღია.

სწორედ მის ამბავს გვიამბობდა მეურნეობის დირექტორი გ. ჰერაშვილი, როდესაც აქოშინებული მოვარდა 12-13 წლის ბიჭი და შორიდანვე ატეხა ყვირილი:

— ძალო თიკო, ძალო თიკო, ჩქარა შინ წამოდი, ჩქარა მოდით, ძალო თიკო!

— რა იყო, ბიჭო, რა ამბავია ჩემს თავს!—გაფითრებულ თიკოს ყურძნის საჭრელი დანა გაუშვდა ხელში.

— ძია გიგო მოვიდა, ძია გიგო დაბრუნდა, ჩქარა მოდით...

თიკო კიდევ უფრო გაფითრდა, ხმა ვეღარ ამოიღო, ტუჩები აუკანკალდა. ქალები შემოეხვივნენ, ულოცავდნენ სიხარულს, ქმრის დაბრუნებას. დირექტორმა ნება დართო თიკოს შინ წასულიყო. ბედნიერმა ქალმა სიხარულის ცრემლები შეიმშრო და მარდად გასწია სახლისაკენ.

ქალებმა თვალი გააყოლეს და კვლავ შეუდგნენ კრეფას.

— რა სიხარულის რთველი დაუდგა თიკოს,—თავის ქნევით ჩაილაპარაკა ერთმა ხნიერმა ქალმა.—ვენაცვალე ჩვენს სტალინს, რომ ვაჟკაცები დაგვიბრუნდნენ.

ნინო მჭედლიძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

თბილისი. კიროვის სახელობის ქარხანა. აგიტატორი ი. ბიბილური ქარხნის მუშებს გაზეთის ახალ ნომერს უკითხავს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

მეშახტეები ზრდიან ქვანახშირის ამოღებას

ტყიბულელები სტახანოვურ ვახტზე

ხალხისადმი დიდი სტალინის მიმართვის პასუხად ტყიბულის შახტებში დიდი შრომითი აღმავლობა დაიწყო. მეშახტეები დადგნენ სტახანოვურ ვახტზე და ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებენ ქვანახშირის ამოღების გეგმებს. სექტემბრის 6 დღის გეგმა ლენინის სახელობის შახტს 105 პროცენტით აქვს შესრულებული. ის უბნები, რომელთაც გ. ფანჩულიძე, დ. ვაშაკიძე და დ. ყუბანეიშვილი ხელმძღვანელობენ, ათეულობით ტონა ქვანახშირს იღებენ ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით.

ახალ წარმატებას აღწევენ შახტის მოწინავე სტახანოველები. მთხრელმა ფ. კრასიკოვმა 6 დღის გეგმა 140 პროცენტით შეასრულა, მებიგე ა. რიჟამაძემ—170 პროცენტით. კიდევ უფრო უკეთეს შედეგებს მიაღწია მნგრეველმა შ. მახარაშვილმა — 6 დღის გეგმა შეასრულა 180 პროცენტით.

შეუჩერებლივ იზრდება მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი უნივერსალ-მეშახტეთა საექსპლოატაციო ბრიგადების ჩამოყალიბებამ.

დ. ქათამაძე

გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ტყვარჩელელთა მიღწევები

სექტემბრის პირველ დეკადაში ტყვარჩელელმა მეშახტეებმა უფრო მაღალნაყოფიერად იმუშავეს, ვიდრე წინა თვეში. გეგმა გადაჭარბებით შეასრულა სტალინის სახელობის შახტის 8 საექსპლოატაციო უბანმა.

საერთოდ ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის მოპოვების 9 თვის დავალება შეასრულა 5 სექტემბრისათვის, ე. ი. ვადაზე 25 დღით ადრე. გადამეტებით არის შესრულებული სამთო-მოსამზადებელ სალ მუშათა გეგმებიც.

იაპონიაზე გამარჯვების აღსანიშნავად მეშახტეები დადგნენ სტახანოვურ ვახტზე და საგრძნობ გადაჭარბებით ასრულებენ ქვანახშირის მოპოვების და სანგრევი ხაზის წინწაწევის ყოველდღიურ გეგმებს. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს გვაძლევენ ის უბნები, სადაც უფროსებად არიან ამხ. ჰირაქაძე, შჩერბინოვი, ბოცვაძე, ლაზარენკო და ტენეტოვი.

ტყვარჩელელი მეშახტეები კვლავ ენერგიულად იბრძვიან ტყიბულელებთან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. წლის დასაწყისიდან განვლილ 8 თვესა და 5 დღეში მათ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 20.000 ტონა ქვანახშირი.

ა. ლეფტერიძე

გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია

დიდი ჯუმის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 12 სექტემბრისათვის შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილი და ჩაბარებულია 280,4 ტონა ფოთოლი, რაც გეგმის 100,2 პროცენტს შეადგენს. ჩაბარებული ფოთლიდან პირველი ხარისხის არის 241.4 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 185 ტონისა.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

სად რა ხარისხის ჩაის ფოთოლს ჰკრეფენ

საქართველოს სსრ ჩაის ტრესტის 10 სექტემბრის ცნობებით, ბათუმის რაიონში მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 97,3 პროცენტი, ქობულეთის რაიონში მოკრეფილიდან—93, გალის—78,4, ოჩამჩირის — 80,4 გულრიფშის—67,4, სოხუმის—69, გუდაუთის—83,9, მახარაძის—96,6, ჩოხატაურის—90,5, ლანჩხუთის—87,9, სამტრედიის—94,5, წულუკიძის—80,5, ქუთაისის—74,5, წყალტუბოს—82,7, ტყიბულის—78,8, ცხაკაიას—100, აბაშის—90,1, გეგეჭკორის—79,5, ზუგდიდის—88,9, წალენჯიხის—84,1, ჩხოროწყუს—89,8, ხობის—80, ჩხარის—72,1, ზესტაფონის—53,8 პროცენტი.

ჩაის ფოთლის კრეფა

(საქართველოს სსრ ჩაის ტრესტის 10 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	კრეფის წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	კრეფის წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	87,5	ქუთაისი	71,7
ქობულეთი	75,0	წყალტუბო	94,4
გალი	87,2	ტყიბული	83,5
ოჩამჩირე	99,0	ცხაკაია	89,6
გულრიფში	70,0	აბაშა	101,0
სოხუმი	84,0	გეგეჭკორი	90,5
გუდაუთა	92,7	ზუგდიდი	73,5
მახარაძე	79,9	წალენჯიხა	63,8
ჩოხატაური	86,8	ჩხოროწყუ	65,9
ლანჩხუთი	71,9	ხობი	70,2
სამტრედია	101,4	ჩხარი	129,0
წულუკიძე	83,9	ზესტაფონი	93,0

ბათუმის, ქობულეთისა და წალენჯიხის რაიონების ცნობები არასრულია, ჩხოროწყუს რაიონისა კი 5 სექტემბრისაა.

ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ცნობებით ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 73,1 პროცენტით, ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში—82,8, ოჩხამურის—79,8, ცეცხლაურის — 82,0, ინგირის — 82,1, ნასაკირალის — 73,7, ანაგვარის—100,3, წალენჯიხის—65,2, ხეცერის—81,3, ნარაზენის—92,5, დიდი ჯუმის—98,9, წულუკიძის—67,1, სალიბაურის—88,2, ლესიჭინის—70,0, მოქვის—101,2, აჭარის ჩაის ტექნიკუმის—103,3, გონიოს—260,0, ნატანების—100,0 პროცენტით.

აგრონომის რჩევა-დარიგება

როგორ გავატაროთ სწორი თესლბრუნვა

სწორი თესლბრუნვა მოსავლიანობის გადიდების საფუძველია. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, რომელთაც დაიცვეს შემოღებული თესლბრუნვა, მოსავლიანობის თვალსაჩინო გადიდებას მიაღწიეს. წითელწყაროს რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ 1943 წელს ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი მიიღო, ამავე დროს რაიონში საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 15 ცენტნერს შეადგენდა. თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კონსტანტინოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში გაზაფხულის ხორბლის მოსავლიანობა 1939 წელს ჰექტარზე 22,6 ცენტნერს უდრიდა, რაიონის საშუალო მოსავალი კი ჰექტარზე 7,1 ცენტნერს შეადგენდა. სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შემოდგომის ხორბლის მოსავლიანობა 1943 წელს 18,4 ცენტნერს უდრიდა, რაიონის საშუალო მოსავლიანობა კი 11 ცენტნერს. ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ შარშანწინ საშუალოდ ჰექტარზე 17,7 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი მიიღო, მაშინ როცა რაიონის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 8 ცენტნერი იყო.

სწორი თესლბრუნვის შემოღება ითვალისწინებს მრავალწლიანი ბალახების თესვას და შემოდგომის ანეულს. ეს გამომდინარეობს საბჭოთა მოწინავე აგრონომიული მეცნიერებიდან. მას საფუძვლად უდევს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის აკადემიკოს ვილიამსის მოძღვრება მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შესახებ. ამ მოძღვრების ერთ უმთავრეს ელემენტთაგანს წარმოადგენს ნათესბალახიანი თესლბრუნვა.

ნათესბალახიანი თესლბრუნვის არსებითს თვისებას შეადგენს ის, რომ კულტურათა მორიგეობაში შეჰყავთ მრავალწლიანი ბალახებისაგან შემდგარი ბალახის მინდვრები, რომლის ძირითად აგროტექნიკურ ამოცანას, ერთის მხრივ, შეადგენს ნიადაგის მტკიცეკოშტოვანი სტრუქტურიანობის შექმნა და, მეორე მხრივ, მეცხოველეობის განვითარების უზრუნველყოფა საკვებით.

მინდვრის ერთწლიან მცენარეთა (სამარცვლე პურეულთა და ტექნიკურ მცენარეთა) მუდმივ ერთ ადგილზე თესვა, თუგინდ აღნიშნული მცენარენი შეენაცვლონ ერთიმეორეს, იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების დაცემას. ეს იმას ნიშნავს, რომ ნიადაგის სტრუქტურიანობა ირღვევა, ნეშომპალის მარაგი და მკვდარი ორგანული ნივთიერება საგრძნობლად მცირდება. ნიადაგის სტრუქტურიანობის აღდგენა შეუძლია მხოლოდდამხოლოდ მრავალწლიან ნარევ ბალახების ნათესს, რომელიც შესდგება პარკოსანი და მეჩხერბუჩქოვანი მარცვლოვანი მრავალწლიანი ბალახებისაგან. მრავალწლიანი მეჩხერბუჩქოვანი მარცვლოვანი ბალახები თავისი ფუნჯა ფესვებით მექანიკურად ანაწილებენ ნიადაგის სახნავ ფენას პატარა ნაწილაკებად — კოშტებად, რომელთა სიდიდე განისაზღვრება 1-10 მილიმეტრით. ამასთანავე კოშტები იცდენთებიან იმ გადამპალათი, რაც ამ ბალახებით ნიადაგში გროვდება.

მეორე მხრივ კოშტებს ესაჭიროება სიმტკიცე, რასაც იღებენ მხოლოდდამხოლოდ პარკოსანი მრავალწლიანი ბალახების საშუალებით. ცხადია, რომ მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის საკვები ბაზით უზრუნველყოფისათვის საჭიროა ერთწლიან კულტურულ მცენარეებს (მარცვლოვან პურეულს, ტექნიკურ მცენარეებს და სხვ.) შეუნაცვლოთ მრავალწლიანი ნარევი ბალახების ნათესი.

ნარევი ბალახებიდან უნდა გავავრცელოთ: იონჯა და ფრანგული კოინდარი, იონჯა და ამერიკული ჭანგა, ყვითელი იონჯა და კაპუეტა, ესპარცეტი და ტიმოთეს ბალახი, სამყურა და ტიმოთეს ბალახი. დამლაშებულ ნიადაგებზე კი მლაშე კაპუეტა და ყვითელი იონჯა, ბეკმანია და მარწყვის სამყურა.

სწორად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის თესლბრუნვა, რომელიც გადაჭრის როგორც ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების და მოსავლიანობის ზრდის საკითხს, ისე საკვები ბაზის ორგანიზაციისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საკითხებს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა შემოღებისა და ათვისების საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ითვალისწინებს სარეველა ბალახებთან ყველაზე ეფექტიანი ბრძოლის მიზნით აკადემიკოს ვილიამსის მიერ რეკომენდებული ნიადაგის მზრალად დამუშავების სისტემის ფართოდ დანერგვას.

ნიადაგის მზრალად დამუშავების სისტემის განსახორციელებლად უნდა ჩატარდეს ნაწვერალის აჩეჩვა, რომლის ამოცანას შეადგენს ბრძოლა ნიადაგის დასარეველიანებასთან, მავნე მწერებთან, მცენარეთა სოკოვან ავადმყოფობასთან და იმ ნალექების და მოყენება, რაც მოსალოდნელია მოსავლის აღების შემდეგ. აჩეჩვა უნდა სწარმოებდეს ხორბლის გუთნით 4-5 სანტიმეტრის სიღრმეზე მოსავლის აღებასთან ერთად და დამთავრდეს არა უგვიანეს 2-3 დღისა მოსავლის აღების დაწყებიდან. აჩეჩილი მინდორი არ იფარცხება და ასეთ მდგომარეობაში რჩება ძირითადი ხვნის ჩატარებამდე.

ძირითადი ხვნა უნდა დაიწყოს სარეველა ბალახების მასობრივი აღმოცენების შემდეგ და დამთავრდეს შემოდგომის თესვის დაწყებამდე 20-25 დღით ადრე. ნიადაგი უნდა მოიხნას წინასახნისიანი გუთნით 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ნიადაგს ნაკლები ფენა აქვს, ხვნა უნდა ჩატარდეს სახნავი ფენის მთელ სიღრმეზე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია სწორი თესლბრუნვები სუფთა ანეულებით. აქედან საჭიროა აღინიშნოს ორი სახის ანეული: პირველი—საშემოდგომო და მეორე—გაზაფხულის საადრეო. სუფთა ანეულს, მათ იმიტომ უწოდებენ, რომ საშემოდგომო ანეულზე ერთი წლის განმავლობაში—შემოდგომიდან შემოდგომამდე—და საადრეო ანეულზე ადრე გაზაფხულიდან შემოდგომამდე კულტურული მცენარე არ ითესება და მინდორი სუფთად რჩება. აღნიშნული ანეულების ძირითად ამოცანას შეადგენს უპირველეს ყოვლისა სარეველა მცენარეებთან ბრძოლა, ნიადაგის ტენიანობისა და საკვებ ნივთიერებათა გადიდება. საშემოდგომო ანეული საადრეო ანეულისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველი შემოდგომაზე იხვნება, საადრეო ანეული კი ადრე გაზაფხულზე.

საანეულო მინდვრის მზრალად დამუშავების სისტემა არაფრით არ განსხვავდება სხვა რომელიც უნდა იყოს მინდვრის მზრალად დამუშავების სისტემისაგან. ჩვეულებრივი გაუპოხიერებელი ანეულის (საშემოდგომო და საადრეო) დამუშავება ხდება გაზაფხულზე ფარცხით. მისი მიზანია სინოტივის შენარჩუნება 7-8 სანტიმეტრის სიღრმეზე შემდეგი აოშვიდან და თათებიანი იარაღებით შემდგომი კულტივაციიდან საშემოდგომო თესვამდე.

ადგილობრივმა სამიწათმოქმედო ორგანოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მრავალწლიანი ბალახების მეთესლეობას, ვინაიდან ნათესი ბალახების გარეშე შემოღებული თესლბრუნვები თავის ძირითად დანიშნულებას ჰკარგავენ. საჭიროა ყოველ კოლმეურნეობაში მოეწყოს მრავალწლიანი ბალახების თესვა სათესლედ იმ ვარაუდით, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში კოლმეურნეობებმა შესძლონ მთლიანად საკუთარი თესლით დასთესონ თესლბრუნვაში ბალახების მინდვრები. სამიწათმოქმედო განყოფილებებმა კოლმეურნეობათა გამგეობებთან ერთად უნდა დააწესონ თვითეული კოლმეურნეობისათვის მრავალწლიანი ბალახების სათესლე ნაკვეთების ოდენობა.

თესლბრუნვა იმნაირად უნდა შესდგეს, რომ უზრუნველჰყოს სახელმწიფო დავალებათა შესრულება სოფლის მეურნეობის დარგში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ზრდა, მეცხოველეობის განვითარება და მისი პროდუქტიულობის ამაღლება, აგრეთვე სხვა დარგების (მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა და სხვა) განვითარება, საკოლმეურნეო მიწების სწორი გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა მინდვრის თესლბრუნვაში მრავალწლიანი ბალახების თესვის გაფართოების, საკვებ თესლბრუნვათა შემოღების და მდელოებისა და საძოვრების მოწყობის გზით.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების იმ კოლმეურნეობებმა, რომლებსაც მარცვლოვანი კულტურების მნიშვნელოვანი ნათესები აქვთ, უნდა შემოიღონ 7-8-9-10-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომელშიც უნდა იყოს ერთი მინდორი სუფთა, ძირითადად შემოდგომის ანეული, ხუთ მინდვრამდე საშემოდგომო თავთავიანები, ორი მინდორი მრავალწლიანი ბალახები და 3-4 მინდორი სხვა კულტურები. იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც სათოხნი კულტურების მნიშვნელოვანი ნათესები აქვთ, შესაძლებელია დაუშვათ თესლბრუნვის შემოღება სუფთა ანეულის გარეშე. ძლიერ დამლაშებულ ნიადაგებზე შემოღებულ უნდა იქნას თესლბრუნვა მრავალწლიანი ბალახების ოთხი მინდვრით.

შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას და კარტოფილის ნათესები საჭიროა განლაგდეს პირველ რიგში მრავალწლიანი ბალახების შემდეგ მოთავსებულ კულტურათა მომდევნო წელს, საშემოდგომო კულტურებზე, რომლებიც მისდევენ სუფთა ანეულს და მარცვლოვან-პარკოსან კულტურებზე.

თამბაქო სწორ თესლბრუნვაში თავსდება იმ ნაკვეთზე, რომელზეც საშემოდგომო კულტურები ეთესა და რომლებიც მრავალწლიან ბალახებს მისდევენ.

სარწყავ მიწებზე ფართოდ გამოიყენება ნაწვერალი კულტურების თესვა როგორც სიდერაციისათვის, ისე მეორე მოსავლის მისაღებად. მრავალწლიანი ბალახები სარწყავ მიწებზე ქარბნესტიან რაიონებში საფარქვეშ უნდა დაითესოს.

მოგვყავს სწორი თესლბრუნვის ტიპები აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონისათვის.

გორის რაიონის კოლმეურნეობებისათვის — მინდვრის 9 მინდვრიანი თესლბრუნვა: 1. სუფთა ანეული, 2. შემოდგომის ხორბალი ესპარცეტისა და ფრანგული კოინდარის შეთესვით, 3. ესპარცეტი და ფრანგული კოინდარი, 4. ესპარცეტი და ფრანგული კოინდარი, 5. შემოდგომის ხორბალი, 6. შაქრის ჭარხალი, 7. შემოდგომის ხორბალი, 8. სიმინდი ლობიოს შეთესვით 9. შემოდგომის ხორბალი.

მინდვრის 10-მინდვრიანი თესლბრუნვა: 1. ესპარცეტი და ფრანგული კოინდარი, 2. ესპარცეტი და ფრანგული კოინდარი, 3. შემოდგომის ხორბალი, 4. შაქრის ჭარხალი, 5. შემოდგომის ხორბალი, 6. შემოდგომის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ტანჟერი
(ცნობა)

ამა წლის 10-დან 31 აგვისტომდე პარიზში მიმდინარეობდა ოთხი მოკავშირე ქვეყნის — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის — ექსპერტთა კონფერენცია ტანჟერის საკითხზე. კონფერენციის მუშაობის შედეგების შესახებ გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად, დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა სრულ თანხმობას მიაღწიეს „ტანჟერში 1940 წელს ესპანეთის ცალმხრივი მოქმედებით დარღვეული საერთაშორისო რეჟიმის აღდგენასთან" დაკავშირებულ საკითხებში. გადაწყვეტილების პროექტი მათ დასამტკიცებლად გადასცეს თავიანთ მთავრობებს.

ტანჟერი მაროკოს ტერიტორიაზე, გიბრალტარის სრუტის აფრიკის სანაპიროს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქი და ნავსადგურია. ეგრეთწოდებულ „საერთაშორისო ზონასთან" ერთად, რომელიც მას ეკვრის, მას 373 კვადრატული კილომეტრი უჭირავს. ზონის მოსახლეობა, 1934 წლის ცნობებით, 60 ათასამდე კაცს შეადგენდა, აქედან სამი მეოთხედი თვით ქალაქში ცხოვრობდა. ტანჟერის ნავსადგური რკინიგზით შეერთებულია ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის სატრანსპორტო სისტემასთან და აფრიკის ექსპორტის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს. მაგრამ ტანჟერის ნავსადგურს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მსოფლიო ნაოსნობის ერთ-ერთ ცენტრს.

ტანჟერის გეოგრაფიული მდებარეობა—ატლანტის ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვის შესაყარში — განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

თავისი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ტანჟერი უძველესი დროიდანვე სხვადასხვა ქვეყნებს შორის გაათფთრებული ბრძოლის ასპარეზი იყო. XVII საუკუნის დამლევიდან იგი მაროკოს სულთნის სუვერენიტეტში იმყოფება. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ტანჟერის საკითხი განსაკუთრებით გამწვავდა და განხილულ იქნა მთელ რიგ საერთაშორისო კონფერენციებზე. ასე, მაგალითად, 1880 წლის ივნისში რუსეთსა, ინგლისსა, საფრანგეთსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის დაიდო ტრაქტატი მაროკოს საქმეებზე. 1906 წლის აპრილში ალჟესირასში შესდგა 13 სახელმწიფოს კონფერენცია, რომელმაც მიიღო გენერალური აქტი ტანჟერის რეჟიმის შესახებ. ეს იყო პირველი იურიდიული დოკუმენტი, რომელმაც დაადგინა ტანჟერის სტატუტის საერთაშორისო ხასიათი და შეზღუდა მაროკოს სულთნის უფლებები.

ალჟესირასის კონფერენციამდე ცოტა უფრო ადრე გერმანიის იმპერიალიზმი პირველად გამოვიდა აშკარად თავისი პრეტენზიებით აფრიკაში. 1905 წლის მარტში იმპერატორი ვილჰელმ II სამხედრო ხომალდით ჩავიდა ტანჟერში და იმის მუქარით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის უფლებათა შესახებ ამ ზონაში. რამდენიმე უფრო გვიან, 1911 წელს, ამ პრეტენზიებმა კიდევ უფრო მკვეთრი ხასიათი მიიღო. გერმანიის მთავრობამ მაროკოს ნავსადგურ აგადირში გაგზავნა საკანონერო ნავი „ავაზა", ვითომდა აფრიკაში არსებული გერმანელთა ფირმების ინტერესების დასაცავად. აგადირის ინციდენტმა, რომელიც ისტორიაში „ავაზის ნახტომის" სახელწოდებით შევიდა, კინაღამ ომი გამოიწვია ევროპაში. ამის შედეგად გერმანელმა იმპერიალისტებმა მაროკოზე საფრანგეთის პროტექტორატის აღიარების სანაცვლოდ თავიანთ სამფლობელოდ მიიღეს საფრანგეთის კონგოს ნაწილი ცენტრალურ აფრიკაში, მაგრამ იძულებული გახდნენ დროებით ხელი აეღოთ ტანჟერის დაპყრობის გეგმებზე.

1906 წელს დამყარებულმა რეჟიმმა იარსება პირველ მსოფლიო ომამდე, რომლის მსვლელობაშიც საფრანგეთმა ფაქტიურად განსაკუთრებული უფლება მიიღო ტანჟერის მართვა-გამგეობაში. ამან შეშფოთება გამოიწვია ესპანეთსა და ინგლისში, რომლებმაც ტანჟერში საერთაშორისო რეჟიმის აღდგენის მიზნით ახალი კონფერენციის მოწვევა მოითხოვეს. ასეთი კონფერენცია შესდგა პარიზში 1923 წლის დეკემბერში. მაგრამ ამ კონფერენციაში მონაწილეობდნენ მხოლოდ სამი სახელმწიფოს — ინგლისის, საფრანგეთისა და ესპანეთის — წარმომადგენლები. მიღებულ იქნა კონვენცია, რომლის თანახმადაც ტანჟერი და მისი მომიჯნავე ტერიტორია ცხადდებოდა მაროკოს სულთნის სუვერენიტეტში მყოფ ნეიტრალურ



საერთაშორისო ზონად. ამ ზონის მართვა ევალებოდა საერთაშორისო საკანონმდებლო კრებას, რომელიც საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და პორტუგალიის წარმომადგენელთაგან ინიშნებოდა. საბჭოთა კავშირი, რომელიც ტანჟერის შესახებ ყველა წინანდელ საერთაშორისო შეთანხმებაში მონაწილეობდა და საარსებოდ დაინტერესებული იყო ამ შეთანხმებებით, მაშინ მიწვეული არ ყოფილა საკითხის განსახილველად.

1940 წლის ივნისში ჰიტლერის ლაქია ფრანკომ ხელში ჩაიგდო ტანჟერი „მისი ნეიტრალიტეტის დაცვის" საბაბით, ხოლო რამდენიმე უფრო გვიან, 1942 წლის დეკემბერში, როდესაც ჰიტლერულმა გერმანიამ თავის წარმატებათა ზენიტს მიაღწია, ესპანეთმა გამოაცხადა ტანჟერის შეერთება თავის სამფლობელოებთან. ამით სავსებით ლიკვიდირებულ იქნა ამ დიდმნიშვნელოვანი ზონის ინტერნაციონალური რეჟიმი. იგი ჩაყენებულ იქნა ჰიტლერული გერმანიის სამსახურში.

გერმანიის ფაშიზმის განადგურების შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს მოეწვიათ 3 ივლისს პარიზში თათბირი ტანჟერის საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ერთად. მაგრამ საბჭოთა კავშირი მიწვეული არ ყოფილა ამ თათბირზე, რაც აშკარად უსამართლო იყო. მხოლოდ სათანადო წარდგინებათა შემდეგ თათბირი გადაიდო, და საბჭოთა კავშირი მიწვეულ იქნა მასში მონაწილეობის მისაღებად. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ექსპერტთა პარიზის კონფერენციაში ტანჟერის საკითხზე.

ამ კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა თანახმად ფრანკოს მთავრობა ვალდებულია გაიყვანოს ტანჟერის ზონიდან თავისი სამხედრო და საპოლიციო ძალები; ზონაში აღდგენილ უნდა იქნას საერთაშორისო ადმინისტრაცია 1923 წლის კონვენციის საფუძველზე, ამასთან სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მიწვეული არიან ზონის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად. აღდგენილ უნდა იქნას მაროკოს სულთნის სუვერენიტეტი ტანჟერზე.

ეს რეჟიმი დროებითი იქნება; ნახევარი წლის შემდეგ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლები კვლავ უნდა შეიკრიბონ ახალი სტატუტის შესამუშავებლად, რომელიც შეცვლილ პირობებს შეესაბამება.

ტანჟერის საკითხის მოწესრიგება წარმოადგენს ომისშემდგომი მშვიდობიანი მოწყობის პრობლემის გადაჭრაში დიდ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ერთიანობის ახალ დადასტურებას.

ა. პრიკლონსკი

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობის დაწყების გამო

ლონდონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობის დაწყების შესახებ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია:

დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ თავისი პირველი სხდომა ჩაატარა 1945 წლის 11 სექტემბერს, სამშაბათს, დღის მეორე ნახევარში ლონდონის ლანკასტერ-ჰაუზში.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თან ახლდნენ მისი მოადგილეები—ბ-ნი პ. კემპბელი, ბ-ნი ა. კლარკ კერი, ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში, და ბ-ნი დაფ კუპერი, ბრიტანეთის ელჩი პარიზში.

სსრ კავშირი წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის მიერ, რომელსაც ახლდნენ მისი მოადგილეები —საბჭოთა კავშირის ელჩი ლონდონში ფ. ტ. გუსევი, ქ. ვ. ნოვიკოვი და ს. ა. გოლუნსკი.

საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეიმს ბირნსი წარმოადგენდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და მას ახლდნენ მისი მოადგილეები— ბ-ნი ჯეიმს დანი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ბ-ნი ბენჯამინ ვ. კოენი და ბ-ნი ჯონ ფ. დალესი.

საფრანგეთი წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ბიდოს მიერ, რომელსაც ახლდნენ მისი მოადგილეები ბ-ნი კუვდე მიურვილი, ბ-ნი მასიგლი, საფრანგეთის ელჩი ლონდონში, ბ-ნი ალფანი და ბ-ნი ფუკ-დიუ პარკი.

ჩინეთი წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ვან ში-ძის მიერ, რომელსაც ახლდნენ მისი მოადგილე ვ. კ. ველინგტონ კუ, ბ-ნი ჰოლინგტონ კ. ტონგი, ბ-ნი ვიქტორ ჰუ და ბ-ნი ი. ს. თანგი.

პირველ სხდომაზე საბჭომ განიხილა და დაამტკიცა საკითხები თავისი მუშაობის წესრიგის შესახებ. დღევანდელ სხდომაზე თავმჯდომარეობდა ბ-ნი ბევინი.

შეთანხმებული იყო აგრეთვე, რომ შემდეგს სხდომებზე საგარეო საქმეთა მინისტრები მორიგეობით ითავმჯდომარეებენ.

ხვალ სხდომაზე თავმჯდომარედ იქნება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი.

გადაწყდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს შეხვდებიან დღის მეორე ნახევარში, ხოლო მათი მოადგილეები—დილით იმისათვის, რომ განიხილონ მათთვის გადაცემული საკითხები და მოამზადონ დღის წესრიგი მინისტრთა პლენარული სხდომებისათვის.

საბჭოს სხდომები იწარმოებს რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენაზე. მნიშვნელოვანი დოკუმენტები დამზადდება ამ ენებზე, აგრეთვე ჩინურზე.

საბჭოს ამოცანა ის არის—როგორც სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებშია ნათქვამი,—რომ განაგრძოს „საჭირო მოსამზადებელი მუშაობა მშვიდობიანობის მოსაგვარებლად და სხვა საკითხების განსახილველად, რომლებიც საბჭოში მონაწილე მთავრობათა შორის შეთანხმებით შეიძლება დროდადრო გადაეცეს საბჭოს". შეთანხმებულ იქნა, რომ პირველ რიგში საჭიროა იმ საკითხების განხილვა, რომლებიც საბჭოს ბერლინის კონფერენციამ გადასცა. მაგრამ დღის წესრიგი ღიად დასტოვეს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო შიგ შეეტანათ სხვა საკითხებიც, თუ ეს ცნობილ იქნა სასურველად საბჭოს სხდომის პროცესში.

ინგლისის ტრედუნიონების კონგრესი

ბლეკპული, 11 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ტრედუნიონების კონგრესის სხდომაზე 10 სექტემბერს სიტყვა წარმოსთქვა პროფესორმა ლასკიმ, რომელიც კონგრესს მიესალმა ლეიბორისტული პარტიის სახელით.

ამ ომის ნამდვილ შედეგს,—სთქვა ლასკიმ, —წარმოადგენს მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანების განუზრელი მისწრაფება თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ, რასაც ყველგან ვამჩნევთ. ეს ომი მოგებულია უბრალო ადამიანების და, არაუკანასკნელ რიგში, ინგლისის უბრალო ადამიანების მიერ.

ლასკიმ მოუწოდა ლეიბორისტულ მთავრობას გაბედულად და გადაჭრით შეასრულოს თავისი გეგმები. მისი სიტყვით, არც წინანდელი ლეიბორისტული მთავრობის მარცხი იმით აიხსნება, რომ ისინი ცდილობდნენ მოსწონებოდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. ისინი ცახცახებდნენ კონსერვატიული პრესის არაკეთილგანწყობილი კრიტიკის წინაშე. მსმენელთა ტაშისცემაში ლასკიმ განაცხადა, რომ უმრავლესობა, რომელსაც ახლანდელი ლეიბორისტული მთავრობა ეყრდნობა, საკმარისზე მეტია ყველა საჭირო ღონისძიების განსახორციელებლად.

ლასკი მოუწოდებდა მხარი დაეჭირონ პროფკავშირულ მოძრაობას, რომელიც მდუმარე პარტნიორი [illegible] ამოცანის [illegible] და განაცხადა, რომ [illegible] ლეიბორისტული მთავრობისადმი მიმართული მოთხოვნები ხელფასის გადიდების შესახებ ისეთი აქტებია, რომელთა შეცვლა ძნელი იქნებოდა".

სტრინი გამოვიდა განცხადებით მრეწველობაში კონფლიქტების შესახებ კანონის გამო, რომელიც სხვადასხვაგვარ წინააღმდეგობას ჰქმნის პროფკავშირული მოძრაობის განვითარებისა და გაფართოების გზაზე.

10 სექტემბრის სხდომაზე კონგრესმა მოიწონა აგრეთვე გენერალური საბჭოს მოხსენების მთელი რიგი სხვა განყოფილებანი, მათ შორის განყოფილებანი, რომლებიც ეხებიან კონფლიქტებს პროფკავშირებს შორის, პრესისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილების მუშაობას.

ლონდონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ტრედუნიონთა კონგრესმა თავისი მუშაობის მეორე დღეს ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რათა მთავრობამ დააჩქაროს დემობილიზაციის გეგმა.

ეგვიპტის მთავრობის ნოტა ინგლისისადმი ეგვიპტიდან ინგლისის ჯარების გაყვანის შესახებ

კაირო, 11 სექტემბერი. (საკდესი). ეგვიპტის მთავრობამ ინგლისის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომლითაც დაჟინებით მოითხოვს ეგვიპტიდან ინგლისის ჯარების გაყვანას და ეგვიპტისა და სუდანის გაერთიანებას.

ფაშისტური ტერორისტული ორგანიზაციის აღმოჩენა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 13 სექტემბერი. (საკდესი). უნგრეთის პრესა აქვეყნებს დაწვრილებით ცნობას იმის შესახებ, რომ პოლიტიკურმა პოლიციამ, რომელსაც პეტერ გაბორი ხელმძღვანელობს, არალეგალური ფაშისტური ორგანიზაცია აღმოაჩინა.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა გამოეწვია მასების უკმაყოფილება დემოკრატიული წესრიგით და დეზორგანიზაცია შეეტანა პარლამენტის მომავალ არჩევნებში. თავისი საქმიანობა ამ ორგანიზაციამ ფაშისტური ფურცლების გავრცელებით დაიწყო. ზოგიერთ რაიონსა და დაწესებულებაში კედლებზე გაჩნდა მთავრობის და დემოკრატიის საწინააღმდეგო ლოზუნგები. ორგანიზაცია მუშაობას ეწეოდა წინასწარ დასახულ რაიონებში სპეციალურად შექმნილი ჯგუფებით და უკვე მოასწრო 10 ათასზე მეტი ფურცლის გავრცელება.

7 სექტემბერს პოლიტიკური პოლიციის მოხელენი ხიუვეშველდში (დიდი ბუდაპეშტის რაიონი) გარს შემოერტყნენ ამ არალეგალური ორგანიზაციის ცენტრს და თათბირის დროს შეიპყრეს მისი ხელმძღვანელობა. აღმოჩენილ იქნა არალეგალური სტამბა და საწყობი, რომელშიც იყო სასროლი იარაღი, გრანატები, ფეთქებადი ნივთიერებანი და რამდენიმე ყუთი ვაზნა.

როგორც დაპატიმრებულთა დაკითხვით გამოირკვა, ორგანიზაცია ტერორისტული აქტებისათვის ემზადებოდა, აპირებდა თავდასხმები მოეხდინა უნგრეთის დროებითი მთავრობის წევრებზე, პარტიების ლიდერებსა და სხვებზე.

რუმინელი ტერორისტების გასამართლება

ბუქარესტი, 12 სექტემბერი. (საკდესი). რუმინული გაზეთების ცნობით, გუშინ სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო გასამართლება „ტ" ორგანიზაციის ტერორისტებისა, რომელთაც მეთაურობდნენ რემუს ცეცუ და შტეფანოვიჩი. 33 ბრალდებულს იცავს 75 ადვოკატი. დაცვა ყოველგვარი ფორმალური საბაბით ცდილობს ჩაშალოს პროცესი. სასამართლომ უარჰყო დაცვის ყველა შუამდგომლობა პროცესის გადადების შესახებ.

ფინეთის სეიმმა დაამტკიცა კანონ-პროექტი ომის დამნაშავეთა დასჯის შესახებ

ჰელსინკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). ფინეთის სეიმმა კამათის შემდეგ 129 ხმის უმეტესობით დაამტკიცა კანონ-პროექტი ომის დამნაშავეთა დასჯის შესახებ. კანონ-პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა 12 კაცმა, თავი შეიკავა 10 კაცმა და ხმის მიცემას არ დასწრებია 48 დეპუტატი.

ირანული გაზეთები არმიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

თეირანი, 5 სექტემბერი. (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). გაზეთი „მეჰაგი" ეხება არმიაში შექმნილ მდგომარეობას და სთვლის, რომ მეშჰედიდან ოფიცრების გაქცევის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მორალური გახრწნა არმიაში.

სპეციალური სტატია არმიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოათავსა გაზეთმა „რასტეხიზე ირანმა", რომელიც სწერს, რომ რეზა შაჰის შემდეგ ბნელმა ელემენტებმა არმიაში შექმნეს „მეხზატე მელის" პარტია. ისინი ცდილობდნენ გავრცელებინათ, რომ ოფიცერთა ჯგუფი საიმედო არ არის. მაგრამ არავინ მოისურვა არმიაში შექმნილი უკმაყოფილების ნამდვილი მიზეზების გაგება. არავინ მოისურვა იმის გაგება, რომ ამ უკმაყოფილებას ჰქმნიან ის დაჯგუფებანი არმიაში, რომლებიც თავიანთ ნათესავებს აყენებენ პასუხსაგებ პოსტებზე, რომლებიც ანგრევენ არმიას და ქურდობას ეწევიან.

გაზეთი „ალი-ბაბა" მოწინავე სტატიაში სწერს, რომ ძლიერი ნაციონალური არმიის შესაქმნელად საჭიროა ჩატარდეს არმიის გადაწყვეტი წმენდა, გაირეკოს არმიიდან რეზა შაჰის მომხრეები.

გაზეთი „არმანე მელი", რომელიც გაზეთ „ზაფარის" ნაცვლად გამოვიდა, მკაცრად ალაშქრებს გენერალ არფას წინააღმდეგ და მის მოქმედებას აფასებს, როგორც ფაშისტური გადატრიალების მოხდენის ცდას.

გერმანელთა კავშირი ამერიკულ სამრეწველო ფირმებთან

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ჰერალდ ტრიბიუნის" ფრანკფურტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლებმა, რომლებიც იკვლევენ გერმანელთა ეკონომიურ კავშირს ამერიკასთან, ამას წინათ აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გერმანელები მთელი ომის განმავლობაში ჰფლობდნენ ამერიკულ ფირმა „ბოშს". ნაპოვნია აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ გერმანელთა მიერ ამერიკელების გამოყენებას გერმანელების კუთვნილი სამი სხვა ამერიკული ფირმის შესანიღბავად. ეს არის კომპანია „პემბროუკ კემიკლ", რომელსაც ფოსფატის მაღაროები ჰქონდა ფლორიდაში, და კომპანიები „ორ ენდ კემიკლ" და „ამერიკენ ლურდჟი", რომლებიც ნიუ-იორკში იმყოფებიან. ამ ფირმების მთავარი ამოცანა იყო ინფორმაციის მიწოდება გერმანელებისათვის ამერიკის ეკონომიკის განვითარებისა და მიღწევათა შესახებ. ომამდე სამივე კომპანია აშკარად აღიარებდა თავს მსუბუქი ლითონების წარმოების გერმანული ფირმის „მეტალგეზელშაფტის" ფილიალებად.

ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა მთავარი ფინანსიური სამმართველოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც იკვლევს გერმანელთა კავშირს უცხოეთთან, პოლკოვნიკმა ბერნშტაინმა „მეტალგეზელშაფტის" არქივებში აღმოაჩინა რაიხსბანკის წერილი, დათარიღებული 1939 წლის 6 სექტემბრით, (ე. ი. ომის დაწყებიდან სამი დღის შემდეგ), რომლითაც ფირმა „მეტალგეზელშაფტს" მიცემული ჰქონდა მითითება შეენიღბა თავისი ფილიალები ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი შენარჩუნების მიზნით.

ტოძიოს თვითმკვლელობის შესახებ გამოქვეყნებული ცნობის გამო

სან-ფრანცისკო, 12 სექტემბერი. (საკდესი). წინანდელი ცნობების წინააღმდეგ, სან-ფრანცისკოს რადიო იუწყება, რომ იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტოძიო, რომელიც გუშინ ცდილობდა თავი მოეკლა რევოლვერით, ალბათ ცოცხალი დარჩება. იოკოჰამის ამერიკელთა სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც ტოძიო გადაიყვანეს, მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, გადაუსხეს სისხლი და შეუშხაპუნეს პენიცილინი. ჰოსპიტლის გამომკვლევმა ექიმებმა განაცხადეს, რომ ტოძიო ცოცხალი დარჩება. თვით ტოძიო ყოველგვარი პროტესტის განუცხადებლად დასთანხმდა ოპერაციის გაკეთებაზე.

შეტაკება ჩინეთის ჯარებსა და მარიონეტული მთავრობის ჯარებს შორის შანხაიში

ჩუნცინი, 12 სექტემბერი. (საკდესი). ჩუნცინის რადიო გადასცემს იუნაიტედ პრესის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ ჩინეთში იაპონიის ჯარების კაპიტულაციის ოფიციალური დოკუმენტების ხელმოწერისთანავე შანხაიში მოხდა შეტაკება ჩინეთის მთავრობის ჯარებსა და მარიონეტულ ჯარებს შორის. შეტაკების დროს გაჩაღდა ტყვიამფრქვევის სროლა. მოკლულია 12 კაცი, რომელთა შორის არიან ამერიკელები. ფიქრობენ, რომ ინციდენტი წარმოიშვა იმის გამო, რომ ქალაქში გავრცელდა ხმები: მარიონეტული მთავრობის სამოქალაქო ტანსაცმლით გამოწყობილი დიდძალი ჯარისკაცი ქალაქში იმალებაო. ჩინეთის ხელისუფალნი ინციდენტს იკვლევენ.

აღმოჩენილია გერმანიის საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ გესტაპოს კავშირს სხვადასხვა ქვეყნის პოლიციასთან

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ბერლინიდან მიღებულია „ასოშიეიტედ პრესის" სააგენტოს ცნობები გერმანიის საიდუმლო დოკუმენტების აღმოჩენის შესახებ, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ ომამდე გესტაპომ მიაღწია შეთანხმებას 13 ქვეყნის პოლიციასთან ანტიფაშისტთა დევნის საკითხში. უცხოელმა მიმომხილველებმა გაიხსენეს, რომ ჰიმლერმა 1940 წლის ოქტომბერში ინახულა ესპანეთი და ურთიერთობა განამტკიცა ფრანკოს პოლიციასთან. იმ დროს ხელისუფლების სათავეში მდგომ პირთა უმეტესობა კვლავ ინარჩუნებს თავის პოსტებს, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სუნიერისა და ყოფილი პოლიციის უფროსის მაიალდეს გარდა.

ბერლინიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ 1938 წელს ჰაიდრიხმა წერილი გაუგზავნა გერინგს, რომლითაც ატყობინებდა, რომ გესტაპომ წერილობითი შეთანხმება დასდო ბელგიის, ბულგარეთის, ფინეთის, იტალიის, იუგოსლავიის, პორტუგალიის, ესპანეთისა და უნგრეთის პოლიციასთან და სიტყვიერი შეთანხმება ბრაზილიასა, საბერძნეთსა, ჰოლანდიასა, იაპონიასა და პოლონეთთან.

როგორ გავატაროთ სწორი თესლბრუნვა
(დასასრული)

ქერი, ნაწვერალზე პარკოსნები სიდერაციისათვის, 7. სიმინდი ლობიოს შეთესვით, 8. შემოდგომის ხორბალი, 9. სიმინდი ლობიოს შეთესვით, 10. შემოდგომის ხორბალი ესპარცეტის და ფრანგული კოინდარის შეთესვით.

საკვები 8-მინდვრიანი თესლბრუნვა: 1. მრავალწლიანი ბალახების ნარევი თივად, 2. მრავალწლიანი ბალახების ნარევი თივად, 3. მრავალწლიანი ბალახების ნარევი საძოვრად, 4. მრავალწლიანი ბალახების ნარევი საძოვრად, 5. მრავალწლიანი ბალახების ნარევი საძოვრად, 6. გაზაფხულის ქერი, 7. ძირხვენები და სასილოსე კულტურები, 8. შემოდგომის ქერი მრავალწლიანი ბალახების ნარევის შეთესვით.

ახალქალაქის რაიონის დაბლობი ზონის კოლმეურნეობებისათვის — მინდვრის 9-მინდვრიანი თესლბრუნვა: 1. სუფთა ანეული, 2. საშემოდგომო ხორბალი მრავალწლიანი ბალახების ნარევის შეთესვით, 3. მრავალწლიანი ბალახების ნარევი, 4. მრავალწლიანი ბალახების ნარევი, 5. გაზაფხულის ქერი, 6. კარტოფილი, 7. გაზაფხულის ქერი, 8. მარცვლოვანი პარკოსნები, 9. გაზაფხულის ხორბალი.

ახალქალაქის რაიონის მაღალი ზონის კოლმეურნეობებისათვის — მინდვრის 9-მინდვრიანი თესლბრუნვა: 1. სუფთა ანეული, 2. გაზაფხულის ქერი მრავალწლიანი ბალახების ნარევის შეთესვით, 3. მრავალწლიანი ბალახების ნარევი, 4. მრავალწლიანი ბალახების ნარევი, 5. გაზაფხულის ხორბალი, 6. კარტოფილი, 7. გაზაფხულის ქერი, 8. მარცვლოვანი პარკოსნები, 9. გაზაფხულის ხორბალი.

აღნიშნულ თესლბრუნვებში მოცემულია ანეულის მინდვრები, რომელთა წესიერად დამუშავება სარეველა მცენარეებთან ეფექტიანი ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. იმ კოლმეურნეობებში, სადაც სათოხნი კულტურების ხვედრითი წონა მაღალია, ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებია თესლბრუნვები უანეულოდ.

მოყვანილ თესლბრუნვებში მრავალწლიანი ბალახების ნარევი ითესება ანეულზე მოთავსებული თავთავიანი კულტურების საფარ ქვეშ; თავთავიანი კულტურები ენაცვლება სათოხნ კულტურებს, სუფთა ანეულს, მრავალწლიან ბალახებს; შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, კარტოფილი ითესება მრავალწლიანი ბალახების შემდეგ მოთავსებულ კულტურათა მომდევნო წელს.

ახალქალაქის რაიონისათვის—8-მინდვრიანი საკვები თესლბრუნვა: 1. მრავალწლიანი ბალახების ნარევი სათიბად, 2. მრავალწლიანი ბალახების ნარევი სათიბად, 3. მრავალწლიანი ბალახების ნარევი საძოვრად, 4. მრავალწლიანი ბალახების ნარევი საძოვრად, 5. მრავალწლიანი ბალახების ნარევი საძოვრად, 6. გაზაფხულის ქერი, 7. ძირხვენები და სასილოსე ნათესები, 8. გაზაფხულის ქერი მრავალწლიანი ბალახების ნარევის შეთესვით.

ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებისათვის — მინდვრის 9-მინდვრიანი თესლბრუნვა: 1. შემოდგომის ხორბალი იონჯის და ფრანგული კოინდარის ნარევის შეთესვით, 2. იონჯა და ფრანგული კოინდარის ნარევი, 3. იონჯა და ფრანგული კოინდარის ნარევი, 4. შემოდგომის ხორბალი — ნაწვერალზე ერთწლიანი პარკოსანი ბალახები თივად. 5. თამბაქო, 6. შემოდგომის ხორბალი, 7. შაქრის ჭარხალი და გერანი, 8. შემოდგომის ხორბალი — ნაწვერალზე ერთწლიანი პარკოსანი ბალახები თივად, 9. სიმინდი ლობიოს შეთესვით.

მოყვანილ სქემებში წარმოდგენილია მრავალწლიანი ბალახების ნარევი, რომლის ძირითად აგროტექნიკურ დანიშნულებას შეადგენს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა, მოსავლიანობის გადიდება და მეცხოველეობის უზრუნველყოფა საკვებით.

თავთავიან კულტურებს მიუძღვიან საუკეთესო წინამორბედები, ტექნიკური კულტურის — თამბაქოს წინამორბედად გამოყენებულია შემოდგომის ხორბალი, რომელიც დათესილია მრავალწლიანი ბალახების შემდეგ. სარწყავ მიწებზე მოცემულია ნაწვერალი კულტურების გამოყენების ნიმუში სიდერაციისათვის და აგრეთვე მეორე მოსავლის მისაღებად.

1938 წლიდან გორის, ხაშურის, ქარელის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, საგარეჯოს, კასპის, წითელწყაროს, სიღნაღის, თბილისის, ლაგოდეხის და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებში შემოღებული იყო სწორი თესლბრუნვა. გარდა ამისა, თესლბრუნვა შემოღებული იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონის მეთესლეობის კოლმეურნეობებში. სამწუხაროდ, ზოგან დაივიწყეს თესლბრუნვის მნიშვნელობა. ადგილობრივი ორგანოები თვითონ არღვევდნენ თესლბრუნვას კოლმეურნეობებისათვის სათესი ფართობის არასწორად დაგეგმვით. ბევრგან სამიჯნე ნიშნები ადგილზე აღარ არსებობს, მინდვრის მიჯნები დაცული არ არის, არ ითესება გეგმით გათვალისწინებული მრავალწლიანი ბალახები, არ ტარდება წინამორბედთა სწორი გამოყენება, თავთავიანები ითესება ნაწვერალზე და სიმინდს მთელი წლების მანძილზე ისევ ნასიმინდარზე სთესავენ.

საჭიროა აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებები. თესლბრუნვათა ათვისების გეგმების შედგენისა და დაზუსტებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი დებულებებით: თავთავიანი კულტურების ზედიზედ ერთსა და იმავე მინდორზე ორ წელზე მეტ ხანს თესვა არ უნდა დავუშვათ, სუფთა ანეულები არ განვალაგოთ მრავალწლიანი ბალახების შემდეგ და მომდევნო წელს, პარკოსანი და სათოხნი კულტურების შემდეგ და ანეულის მომდევნო საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების შემდეგ. საჭიროა თესლბრუნვის ათვისების პერიოდში საფუძვლიანად გამოვიყენოთ სუფთა ანეულები ყველა იმ მინდვრებზე, რომლებიც უფრო დასარევლიანებულია.

სწორი თესლბრუნვის შემოღებასა და ათვისებაში კოლმეურნეობებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ჩვენმა აგრონომებმა. თესლბრუნვა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ამ ღონისძიების გატარებაში საჭიროა ჩავაბათ კოლმეურნეთა ფართო მასები.

ნ. ავალიშვილი
საქართველოს სსრ მიწსახკომის მემინდვრეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი.

ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

● **14 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე,** მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოსა და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაკებისათვის შესდგება დოცენტ მრევლიშვილის ლექცია თემაზე: **„ლენინი და სტალინი საბჭოთა დემოკრატიზმის შესახებ".**

● **15 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომებისა და საწარმოთა პარტკაბინეტის გამგეებისათვის შესდგება დოცენტ ა. თავაძის ლექცია თემაზე: **„მარქსიზმ-ლენინიზმი სახელმწიფოს შესახებ".**

17 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წითელ დარბაზში (ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანი, № 2) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რაიონული საბჭოს XXI სესია.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 15/IX — „დაისი". **რუსთაველის სახელობის** — 14/IX — „ტირიფის ქვეშ". 15/IX—„არსენა". **გრიბოედოვის სახელობის** 14/IX — „კრემლის კურანტები". 15/IX — „ასეც იქნება". **სომხური** — 15/IX — „პეპო". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 15/IX „ტირიფის ქვეშ".

კინოებში

14 სექტემბერს: რუსთაველის სახელობის —„დღეები და ღამეები". **ოქტომბერი** — „დიდი ცხოვრება". **დამკვრელი** — (საზაფხულო)— „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს". (ზამთრის) — „მოსკოვის ცა". **კომკავშირელი** (საზაფხულო და ზამთრის) — „ოთხთა გული". **სპარტაკი**— „სტანიცა დალნაია". **ლუქსემბურგის სახელობის** — „მზიური ველის სერენადა". **26 კომისრის სახელობის** — „შემთხვევა ასაქცევზე" და „სან-ფრანცისკოს კონფერენცია".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

და ნინო ჩუბინიშვილი, სიძე ვახტანგ როსტომაშვილი შვილით ზიზოთი, ძმისწული კოლია ჩუბინიშვილი, თამარ ხახუტაშვილი ოჯახებით იუწყებიან **გიორგი ილიას-ძე ჩუბინიშვილის** გარდაცვალებას.

სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან ასისტენტის ელენე გოცირიძის დედის **ნინო გოცირიძის** გარდაცვალებას.

დები მარო, ტასო, ანიკო, ლუბა, ძმა მიხა ოჯახებით იუწყებიან **პეტრე ალექსის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 16/IX, 3 ს. პლეხანოვის, 114.

ლუბა და დავით გიორგაძეები ოჯახით იუწყებიან ბიძის ექიმ **ვასილ ივანეს-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას.

თბილისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან ვლადიმერ გელეიშვილის მამის **ზეხარიონ ფილიპეს-ძე გელეიშვილის** გარდაცვალებას.

მშობლები ნინო, ისაკი, ბებია პარასკევა, ძმები ბორისი, გივი, დები თინა, მარგო გაბუნიები იუწყებიან **მედეას** გარდაცვალებას.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის კავშირის კომიტეტის პრეზიდიუმი იუწყება ბიქტორ სიხარულიძის დედის **ელპიტე სიხარულიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სიდონია, შვილები თინა, ჯანიკო, ლეო, სიძეები ნ. ჩიქოვანი, გ. გიგიბერია, რძალი თამარი შვილებით იუწყებიან, რომ 16/IX, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვლადიმერ მოსეს-ძე ვეკუას** პანაშვიდი.

ცეკავშირის პრეზიდიუმი, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან ბიქტორ სიხარულიძის დედის **ელპიტე გიტოს-ასულ სიხარულიძის** გარდაცვალებას.

შვილები ქეთო, ოთარ, რძალი ქეთევან ავალიანი, სიძე შალვა ახმეტელი იუწყებიან კომპოზიტორ **გიორგი ილიას-ძე ჩუბინიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/IX, 7 ს. გამოსვენება 15/IX, 5½ ს. კამოს, 48.

დედა ვერა ზერიძე, მამა გრიგოლ, და ირა, ბებია მინა, მამიდები ნაშო, მარგარიტა ბაქუნაიშვილები იუწყებიან **ზურიკოს** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15/IX, 7 ს. გამოსვენება 16/IX, 2 ს. საჯაიას, 21-ა

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოს—3.06.88, განყოფილებების: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.78.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. / ტირაჟი 91.800 უდ 02991